გაზეთი ზევრის, „ვერსიის" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№26 (921) 19 – 20 მარტი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ბიბი უგულავამ საააკაშვილის დადგენილება დამალა

გვ. 4

ვახტანგ რჩეულიშვილი

„როცა სჭირდებოდა, უგულავას ფეხებზე ეკიდა ყველა, მათ შორის პრეზიდენტიც, თავისი ავტორიტეტის ზრდისთვის კორუფციული დანაშაულის დიდი საქმე აქვს გაკეთებული!"

„გუდვილის" დამფუძნებელი გოგი შევარდნაძე დუმილს არღვევს და ყველა ბრალდებას პასუხობს!

გვ. 6

სამი სიახლე, რომელიც აბიტურიენტებს საგამოცდო ცენტრებში დახვდებათ

გვ. 8

ბურჯანაძე ივანიშვილის საქმეას იმეორებს

რამდენი გადაუხადა ქდმ-ს და ვინ გაერთიანდება ბურჯანაძის პარტიაში

გვ. 3

გვ. 5

აშშ რუსეთს უკრაინელი ოლიგარქების დაპატიმრებით აწეიტრალებს

ვინ არის დიმიტრი ფირტაში და რა მესიჯი გაუგზავნა ობამამ პუტინს მილიარდერის დაპატიმრებით

ვლადიმერ პუტინმა ყირიმი და სევასტოპოლი რუსეთის შემადგენლობაში მიიღო

ვლადიმერ პუტინმა ყირიმი და სევასტოპოლი რუსეთის შემადგენლობაში მიიღო

რუსეთის პრეზიდენტმა ფედერალურ კრებას ორი ახალი სუბიექტის შეერთების შესახებ მიმართა და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგი არავინ იქნება.

„16 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე გთხოვთ, განიხილოთ რუსეთის შემადგენლობაში ორი ახალი სუბიექტის – ყირიმის რესპუბლიკისა და ქალაქ სევასტოპოლის მიღების საკითხი“, — მიმართა პუტინმა ფედერალურ კრებას.

შესაბამის შეთანხმებას რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, ყირიმის ე.წ. პრემიერმა სერგეი აქსენოვმა და ე.წ. სპიკერმა ვლადიმერ კონსტანტინოვმა და სევასტოპოლის მერმა მოაწერეს ხელი.

„პირველი“

ბიძინა ივანიშვილი გიორგი მარგველაშვილით იმედგაცრუებულია

ყოფილი პრემიერ-მინისტრი „იმედთან“ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ მარგველაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პრინციპულად განსხვავებული თვისებები გამოავლინა.

„გარკვეული იმედგაცრუება მე მივიღე. პრინციპულად განსხვავებული თვისებები აღმოაჩნდა, ხასიათი გამოავლინა მარგველაშვილმა არჩევნების შემდგომ“, — აცხადებს ყოფილი პრემიერი და ასევე აღნიშნავს, რომ არ იცის, რატომ გახდა მარგველაშვილის ფავორიტი ვანო მაჭავარიანი, რომელიც მისი მრჩეველია. ექსპრემიერი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილზეც საუბრობს და აცხადებს: **„მახსენებს ჩემს ახალგაზრდობას. ჩემზე უკეთესი პრემიერია“.**

ექსპრემიერი მინისტრთა კაბინეტზე საუბრისას აცხადებს, რომ კულტურის მინისტრი **„ძალიან კარგ მინისტრებში არ გადის“**.

„პირველი“

ნატო-მ რუსეთთან პრაქტიკული თანამშრომლობა შეაჩერა

ალიანსის გენერალური მდივნის განცხადებით, 1-2 აპრილს ნატო რუსეთთან ყველანაირ კავშირს გადახედავს. **„ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ რუსეთთან პრაქტიკული თანამშრომლობის შეჩერება, 1-2 აპრილს კი, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბებიან, ისინი რუსეთთან ყველანაირ კავშირს გადახედავენ“,** — განაცხადა ანდერს ფოგ რასმუსმენმა.

მისივე თქმით, რუსეთი სირიის ქიმიური იარაღის განადგურების ოპერაციაში მონაწილეობას აღარ მიიღებს და ეს თანამშრომლობის შეჩერების ერთ-ერთი მაგალითია.

„პირველი“

საია უსუფაშვილის ინიციატივას, დეპუტატის იმუნიტეტის შესუსტებასთან დაკავშირებით, გაუმართლებლად მიიჩნევს

ორგანიზაცია პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას ეხმაურება, სადაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე და 169-ე მუხლები არაკონსტიტუციურადაა შეფასებული.

„საია უარყოფითად აფასებს ინიციატივას არაკონსტიტუციურობის მოტივით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნეს იმგვარი ცვლილებები, რაც პროკურატურას უფლებას მისცემს, დეპუტატის მიმართ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა პარლამენტის თანხმობის გარეშე. საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია პარლამენტის წევრის დაკავება, დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა პარლამენტის თანხმობის გარეშე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე და 169-ე მუხლი კი კრძალავს დეპუტატისთვის ბრალის წაყენებას პარლამენტის თანხმობის გარეშე. სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება, ბრალდების შესახებ დადგენილების მიღება შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ ბრალდებული არ დააკავონ ან არ დააპატიმრონ. თუკი კონსტიტუცია პროკურატურას დეპუტატის დაკავებას უკრძალავს პარლამენტის თანხმობის გარეშე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კრძალავს დეპუტატის ბრალდებულად ცნობას (მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დაკავებული). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილი არ აქვს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის ნორმათა კოლიზიას (წინააღმდეგობას), რადგან ნათელია, რომ ეს ნორმები სხვადასხვა საკითხს არეგულირებენ. შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიძლება არაკონსტიტუციურად მივიჩნიოთ...

საია ასევე ვერ დაეთანხმება პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას იმის თაობაზე, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აბსოლუტურ იმუნიტეტს ანიჭებს დეპუტატს. აბსოლუტური არ შეიძლება ეწოდოს იმუნიტეტს, რომლის მოხსნაც შესაძლებელია პარლამენტის თანხმობით. ამასთან, გასათვალისწინებელია პარლამენტის თავმჯდომარის შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ არ არსებობს მოცემული საკითხის მარეგულირებელი ცალკეული რეგულაციები (მაგალითად, არ არის განსაზღვრული, რა ვადაში უნდა განიხილოს პარლამენტმა პროკურატურის მიმართვა დევნის დაწყებაზე თანხმობის მიღების შესახებ და ა.შ.). შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება პარლამენტის ძალისხმევა ამ რეგულაციების ნათლად დადგენისკენ იქნეს მიმართული და არა დეპუტატის დაცვის მაღალი სტანდარტის შემცველი ნორმების გაუქმებისკენ“, — ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

„პირველი“

კახა ბენდუქიძე მთავარ პროკურატურაში დაკითხეს

კახა ბენდუქიძე მთავარ პროკურატურაში ადვოკატ ოთარ კახიძესთან ერთად მოვიდა დაკითხვაზე შესვლამდე კი ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა და უძრავი ქონების პრივატიზაციის საკითხზე პროკურატურაში მოწმის სახით დაბარება ზეწოლად შეაფასა.

„გაზაფხულზე, სადღაც 10-დან 20 მარტამდე შარშანაც და წელსაც ერთი და იგივე მოვლენები ხდება, როდესაც დარტყმას გვაყენებენ, ეს ხდება შეგნებულად თუ გაზაფხულს ვესალმებით ასე, არ ვიცი“, — აღნიშნა კახა ბენდუქიძემ.

მისივე თქმით, ამ საქმეს იურიდიული შინაარსი არ გააჩნია გარდა იმისა, რომ შექმნას აურზაური. ბენდუქიძემ ასევე აღნიშნა — რცხვენია, რომ მთავარ პროკურატურას ასეთი პროკურორები ჰყავს.

ამასთან, ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა კახა ბენდუქიძის ადვოკატმა. ოთარ კახიძის თქმით, სისხლის სამართლის საქმის მასალები მათ არ გადასცემიათ. მისივე თქმით, კახა ბენდუქიძე მოწმის სტატუსით იკითხება, შესაბამისად, არ იცნობენ ამ საქმის მასალებს. ადვოკატი საქმეს აბსურდულს უწოდებს და გამოძიების დასრულებას დაელოდება.

ოთარ კახიძის განცხადებით, სახეზეა თუ რა გაკეთდა აგრარულ უნივერსიტეტში. ადვოკატი კახა ბენდუქიძის მთავარ პროკურატურაში მოწმის სახით დაბარებასა და დაკითხვაში პოლიტიკურ მოტივებს ხედავს.

ამასთან, ბენდუქიძის მოწმის სახით დაბარებასთან დაკავშირებით მთავარმა პროკურატურამ განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია: **„საქმე ეხება სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული დიდი ოდენობით უძრავი ქონების პრივატიზებისას სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების გვერდის ავლით, სსიპ სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის" არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად რეორგანიზაციასა და მასთან შერწყმული საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე განთავსებული 14 კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტის ბალანსზე არსებული უძრავ-მოძრავი ქონების შპს „აგრომეტის“ კაპიტალში წინასწარ შემცირებული ღირებულებით შეტანას, შემდეგ კი შპს „აგრომეტის“ 100% წილის 5 150 000 აშშ დოლარად პრივატიზებას 8 000 000 ლარის საინვესტიციო ვალდებულებით. მაშინ, როდესაც შპს „აგრომეტის“ საწესდებო კაპიტალში შეტანილი უძრავ-მოძრავი ქონების მხოლოდ საბალანსო ღირებულება 65 მილიონ ლარს შეადგენდა, ხოლო საბაზრო ღირებულება რამდენიმე ასეულ მილიონ ლარზე მეტია. პრივატიზებული ქონების მხოლოდ ერთი ნაწილი თბილისში აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე განთავსებული 59 ჰექტარი მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება შეფასებულია 10 790 000 ლარად, რომელიც კაპიტალში შეიტანეს 59 000 ლარად (1 კვადრატული მეტრი 10 თეთრად), ანალოგიური გზით შემცირდა სხვა ქონების ღირებულებებიც".**

„ინტერპრესნიუსი“

სამეგრელოში აღმოჩენილი სამალავების საქმეზე მიმალვაში მყოფ მეგის ქარდავას 9-წლიანი პატიმრობა შეეფარდა

ამასთან, ე.წ. კასრების საქმეზე უდანაშაულოდ იქნა ცნობილი რუსლან შამახია, რომელიც დარბაზიდან გათავისუფლდება. მოსამართლე გიორგი დარახველიძემ კიდევ 11 ბრალდებულს განაჩენი გამოუტანა: დავით ჩაგინავას 9 წლით, ირაკლი ახალაიას 2 წლითა და 3 თვით, კოხტა კოდუას 9 წლით, გურამ ჭითანავას 6 წლით, კობა თოდუას 9 წლით, გიორგი ბულიას 6 წლით, თემურ უბირიას 7 წლითა და 6 თვით, პაატა ქირიას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

სამეგრელოში აღმოჩენილი სამალავების, ანუ ე.წ. კასრების საქმეზე პასუხისგებაში 13 პირი იყო მიცემული, მათ შორის, შსს-ს მოქმედი და ყოფილი თანამშრომლები მარლენ ხვიტია, გოჩა შონია, გურამ ჭითანავა, პაატა ქირია და რუსლან შამახია, ასევე თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე კობა თოდუა, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი გიორგი გულია, ასევე თემურ უბირია და პაატა ქირია, ამასთან, მეგის ქარდავა, კოხტა კოდუა და დავით ჩაგინავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, 2013 წლის ზაფხულში სამართალდამცველებმა სამეგრელოში ყოფილი ხელისუფლების, შსს-ს მაღალი თანამდებობების პირების უშუალო ორგანიზებითა და ხელმძღვანელობით, მიწისქვეშ შენიღბულად მოწყობილი, დაფარული სამალავები აღმოაჩინეს, რომლებშიც იარაღი, ფეთქებადი ნივთიერებები, ნარკოტიკები და ასევე ვიდეოფირები იქნა ნაპოვნი. აღმოჩენილი ვიდეოფირების საშუალებით, რომლებზეც სექსუალური ხასიათის დანაშაული იყო აღბეჭდილი, გამოძიებამ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული პირები დაკავებულების წამებასა და მათ მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში მონაწილეობდნენ.

„პირველი“

რით შეიძლება დაუმძიმონ ბრალი ერეკლე კოდუას

გიორგი იაშვილი

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ამომრჩეველი მოუთმენლად ელოდა, როდის დაიწყებოდა სამართლიანობის აღდგენა. ძირითადად, რამდენიმე გვარი ისმოდა — მერაბიშვილი, ახალაიები, კოდუა... ანუ ძირითადი აქცენტი იმ ძალოვნებზე იყო გადატანილი, რომელსაც ქართველი ამომრჩეველი ნახევარი საქართველოს დაპატიმრებასა და ქუჩაში დახვრეტას ედავებოდა. ბაჩანა ახალაია ციხეშია, ვანო მერაბიშვილი ციხეშია, დათა ახალაიას სასჯელი შეფარდებული აქვს და მიმალვაშია, ერეკლე კოდუა კი...

ალბათ დამეთანხმების, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ გენერალმა კოდუამ ზუსტად იცოდა, ადრე თუ გვიან, მასაც მიადგებოდნენ, ამიტომ მშვიდად გაეცალა საქართველოს მანამ, სანამ მისთვის მოიცლიდნენ და ავსტრიაში დასახლდა. როგორც ჩანს, ავსტრია კარგად აქვთ დაცდილი ქართველ მაღალჩინოსნებს — ლევან პირველიც იქ იყო, ბადრი ბიწაძეც, ბევრი სხვაც და ახლა კოდუა. პერიოდულად, მასზე საინტერესო ინფორმაციები ვრცელდებოდა. ერთხელ ისიც ითქვა, მაღალი თანამდებობა შესთავაზეს და უარი განაცხადაო. ვინ ავრცელებდა ამ ცნობებს, სერიოზული ეჭვი კი გვაქვს, მაგრამ წინა მთავრობას ნუ დავემსგავსებით და გონივრული ეჭვის საფუძველზე ჩვენს კოლეგას ბრალს ნუ დავდებთ. კოლეგაზე გამახსენდა და ისიც უნდა ვთქვა, რომ სოდ-ის ყოფილი უფროსის მეუღლემ ნანუკა ჟორჟოლიანმა განაცხადა, ერეკლე ავსტრიაში სწავლობს და ცოდნას იღრმავებსო. სწავლა სიკვდიმდე შენიაო, კი გაგვიგია, მაგრამ გენერალი კაცი სწავლას რომ დაიწყებს, მაინც უცნაურად ჩანს.

17 მარტს გენერალურმა პროკურატურამ შემდეგი სახის განცხადება გაავრცელა:

„ერეკლე კოდუამ ნაცვლად დაპირებისამებრ სახელმწიფოზე გადაცემისა, თაღლითური გზით, მოტყუებით გადააფორმა თავისი არასრულწლოვანი შვილის - ნოდარ კოდუას სახელზე, რითაც სარგებლობდნენ თვით ერეკლე კოდუა და მისი ოჯახის წევრები. ხოლო მოგვიანებით, ა/მანქანა 20 000 აშშ დოლარად გაასხვისეს სხვა პირზე. გარდა ამისა, 2008 წლის 18 დეკემბერს ერეკლე კოდუამ დედის ლაურა ღაჭავასთვის შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისიდან“, შემდგომი გადახდის პირობით შეიძინა 92 000 აშშ დოლარის ღირებულების „ლექსუსის“ მარკის ავტომობილი. ამის შემდეგ, 2009 წლის თებერვალში, ერეკლე კოდუა თავის სამუშაო ოთახში შეხვდა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვის ფაქტზე დაკავებულ ბრალდებულ გიორგი გურჩიანს და მის ძმას შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ დირექტორს ერეკლე გურჩიანს, რომლებსაც დაპირდა არასაპატიმრო სასჯელზე საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, რაც ასევე, ამ შემთხვევაშიც აშკარად სცილდებოდა მისი უფლებამოსილების ფარგლებს, სანაცვლოდ კი მოითხოვა თავისი დედის ლაურა ღაჭავასთვის შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისიდან“ გამოყვანილი, 92 000 აშშ დოლარის ღირებულების „ლექსუსის“ მარკის ავტომობილის საფასურის გაქვითვა და დამატებით „ტოიოტა ჰაი-ლუქსის“ ავტომანქანის ყიდვა სახელმწიფოსათვის გადასაცემად, რაზეც ერეკლე გურჩიანი დათანხმდა და უარი თქვა 92.000 აშშ დოლარის ღირებულების „ლექსუსის“ მარკის ავტომანქანის ღირებულების ლაურა ღაჭავასთვის მოთხოვნაზე, რომლის თანხა თვითონ შეიტანა შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ ანგარიშზე და აგრეთვე შეიძინა 41 500 ლარის ღირებულების „ტოიოტა ჰაი-ლუქსის“ ავტომანქანა, რომელიც ნაცვლად დაპირებისამებრ სახელმწიფოზე გადაცემისა, მოტყუებით დარეგისტრირდა ერეკლე კოდუას მიერ შერჩეულ პირზე, ხოლო მოგვიანებით თავის სახელზე, რომელიც 2011 წლის 22 ივნისს 27 000 აშშ დოლარად გაასხვისა სხვა პირზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პროკურატურამ ერეკლე კოდუა ამხილა და წარუდგინა ბრალდება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და თაღლითობის ორ ეპიზოდში. საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ცხრა წლამდე ვადით“...

ამ განცხადებამ ნანუკა ჟორჟოლიანი გაამხიარულა. **„ერეკლე კოდუას, გენერალს, 7 წელი სოდ-ის უფროსს და ამ სამსახურის შემქმნელს საქმე აღუძრეს რაღაც გაურკვეველ ავტომანქანებზე, დავმშვიდდი“,** — ეს არის ამონარიდი იმ კომენტარიდან, რომელიც ჟორჟოლიანმა გაავრცელა. სხვათა შორის, ეს გაურკვეველი მანქანები იმხელა ფული ღირს, საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს წლიურად რომ არ აქვს და საინტერესოა, ეს ქონება მისი ოჯახისთვის რომ წაერთმიათ, მერეც მიაქცევდა ყურადღებას წამრთმევის რეგალიებს, თუ ჩვეულებრივ კრიმინალად მონათლავდა?!

სოდ-ის უფროსობას რაც შეეხება, გურჩიანისთვის წართმეული მანქანების არ იყოს, მთელი თბილისი ლაპარაკობდა იმაზე, რომ სოდ-ის გარეშე დედაქალაქში ნარკოტიკი არ იყიდებოდა. ამის გამო მაშინ კოდუას სერიოზული დაპირისპირებაც ჰქონდა ხელისუფლებასთან — შსს-ს კულუარებში ამბობენ, რომ ამ ხმებს ერეკლე კოდუას და მის ოჯახს თავისივე კოლეგები უვრცელებენო და ხელს ახალაიების კლანისკენ იშვერდნენ. მოგვიანებით, საქმემ იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ ერეკლე კოდუას „თანამშრომლობა“ უკვე ოპოზიციაში მყოფმა ბადრი პატარკაციშვილმაც შესთავაზა და 2007 წლის 23 დეკემბერს ის ჩანაწერი გაკეთდა, რომელსაც შემდეგ პატარკაციშვილის მტრად გამოცხადება მოჰყვა, ხელისუფლებამ კოდუა გმირად აღიარა და ისიც დაჭერასა თუ მოხსნას გადაურჩა. როგორც ამბობენ, მაშინ პატარკაციშვილმა კოდუას 3 მილიონი დოლარიც გამოატანა და სოდ-ის უფროსს ეს ფული „პრემიად“ დაუტოვეს. საბოლოოდ, კოდუა მაინც მოხსნეს, უფრო ზუსტად დააქვეითეს, რაც მისთვის მოხსნის ტოლფასი იყო... თბილისის ქუჩებში ნარკოტიკული საშუალება, კონკრეტულად კი, „სუბუტექსი“ გაქრა — ერთ კვირაში ერთი აბის ფასმა 120 ლარიდან 700 ლარამდე აიწია. არის თუ არა ერთმანეთთან კავშირში კოდუას მოხსნა და „სუბუტექსის“ გაიაფება, ძნელი სათქმელია, მაგრამ საეჭვო დამთხვევა აშკარად არის.

სხვათა შორის, ამომრჩეველს პრეტენზიები მხოლოდ ერეკლე კოდუასთან კი არა, მისი ოჯახის წევრებთან, ლაურა ღაჭავასთან და მის ძმასთან, დავით კოდუასთანაც აქვთ. ღაჭავა „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმეშიც ფიგურირებს და რამდენიც უნდა ამტკიცოს ამ ქალბატონმა, ამის გაკეთება მაიძულესო, ფაქტია, ამ საქმეში მონაწილეობდა. ერეკლეს სოდ-ის უფროსობის დროს, საეჭვოდ დიდი უძრავი ქონება აჩუქეს დავით კოდუას და ახლა გამჩუქებლები მის დაბრუნებას ითხოვენ. კოდუას ადვოკატი აცხადებს, რომ გენერალი მზად არის გამოძიებასთან ითანამშრომლოს, თუმცა ძალიან საეჭვოა, საქართველოში დაბრუნდეს. სავარაუდოდ, ადეიშვილის დარად, ისიც სკაიპით მოითხოვს დაკითხვას და ავსტრიაში დარჩება. ეჭვი გვაქვს, პროკურატურას მასთან კითხვები არამარტო ამ საქმეზე ექნება. თუნდაც იმის გახსენებაც კმარა, რომ ბენდენაწაკრული კოდუა იმ კადრებში ჩანს, რომლებშიც ვანო მერაბიშვილი ორ გვამს ითხოვს.

p.s. რაც შეეხება გენერლობას, ბაჩანა ახალაიაც გენერალია და ამაზე დიდ აქცენტს ნუ გავაკეთებთ. ღირსების ორდენების არ იყოს, წინა ხელისუფლება გენერლობასაც მარტივად არიგებდა და ომიდან გამოქცეულ ადამიანებსაც ჰკიდებდა გმირის ორდენებს.

ბურჯანაძე ივანიშვილის სქემას იმეორებს

რამდენი გადაუხადა ქრისტიან-დემოკრატებს და ვინ გაერთიანდება ბურჯანაძის პარტიაში

რუსუდან შელია
557-100-768

არასაპარლამენტო ოპოზიციამ დიდ გაერთიანებაზე ფიქრი თვითმმართველობის ადგილობრივ არჩევნებამდე დაიწყო და თავიდანვე ნათელი იყო, რომ მათ შორის ნაციონალური მოძრაობა ვერ მოხვდებოდა. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ისიც ყველამ გააცნობიერა, რომ ოპოზიციურ ფლანგზე მთავარი ფიგურა ნინო ბურჯანაძე გახდა და თავის გადასარჩენად, დემოკრატიული მოძრაობის ირგვლივ უნდა „ემოძრავათ“, თუმცა სანაცვლოდ, ვინ რას თმობდა ან პრორუსულად წოდებული პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის მხარდაჭერა პრაგმატულად ვის აწყობდა, კონსულტაციები ამ საკითხებზე დროში საკმაოდ გაიწელა.

სანამ პარლამენტსგარეთ დარჩენილი ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთში აზრებსა და პოლიტიკურ წინადადებებს ცვლიდნენ, საზოგადოება „შესანიშნავ სამეულს“ — ბურჯანაძე-კუკავა-ბაღათურიას უკვე ერთ საარჩევნო ბლოკად განიხილავდა, თუმცა პოლიტიკური ბორბალი, კიდევ ერთხელ, უკუღმა დატრიალდა და ნინო ბურჯანაძესთან კოალიციაში, მართალია, გიორგი თარგამაძის გარეშე, მაგრამ სრული საარჩევნო რესურსით, ქრისტიან-დემოკრატები აღმოჩნდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ბურჯანაძის პარტიაში გიორგი ახვლედიანი მოიაზრება. ჯერჯერობით, გაურკვეველია, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ლევან ვეფხვაძე, მაგდა ანიკაშვილი და ნიკა ლალიაშვილი, თუმცა რა საერთო აქვთ ნინო ბურჯანაძესა და პროდასავლური ღირებულებების ქომაგ ქრისტიან-დემოკრატებს ანდა სად ხედავენ საკუთარ ადგილს ქდმ-ს ლიდერები, ამის ანალიზის საშუალება მხოლოდ მაშინ გვექნება, როცა ქდმ ოფიციალურ გადაწყვეტილებას გამოაცხადებს.

გავრცელებული ინფორმაციით, დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა მათში ერთიდან ხუთ მილიონ ლარამდე გადაიხადა. ამ ინფორმაციას „ავადმყოფური ტვინის ნაყოფს“ უწოდებს გიორგი თარგამაძე, მაგრამ, რადგან ნინო ბურჯანაძის პარტიისგან განსხვავებით, ქდმ-ს კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი, შესაბამისად, უფასო სარეკლამო დრო, რეგიონული ოფისები და პარტიული სტრუქტურა და სხვა თანმხლები პრივილეგიები გააჩნია, შესაძლებელია, ეს ინფორმაცია სიმართლესთან ახლოსაც იყოს. გარდა ამისა, ქრისტიან-დემოკრატები, პარტიის შექმნის დღიდან, პროდასავლური პოლიტიკური ძალის იმიჯის დამკვიდრებას ცდილობდნენ, რაც შესაძლოა, მომავალში ნინო ბურჯანაძემ პოლიტიკურ ნიღბად გამოიყენოს, სხვათა შორის, ამაზე მინიშნებას გიორგი თარგამაძეც აკეთებს, როცა აცხადებს, „ქართული ოცნების“ მსგავსი სქემა მუშავდებაო და ყოფილ სპიკერთან გაერთიანებას ასე განმარტავს: **„პირადად ჩემთვისაც და იმ მოძრაობისთვისაც, რომელიც კონსულტაციებში მონაწილეობს, პრიორიტეტად ქვეყნის დასავლური განვითარების გზა და დემოკრატიული პრინციპების უპირატესობა რჩება. თუ მაინცდამაინც ნინო ბურჯანაძეზეა საუბარი, მინდა შეგახსენოთ, რომ მასთან პოლიტიკური ურთიერთობის გამოცდილება ჯერ კიდევ 1999 წლიდან მაქვს. იმ პერიოდიდან, როცა ზურაბ ჟვანიას გუნდს წარმოადგენდა და მე „აღორძინებაში“ ვიყავი. ბურჯანაძეს საკმაოდ დიდი პოლიტიკური გამოცდილება აქვს. თუ პარტიული დოკუმენტების ენაზე ვისაუბრებთ, სრულიად ცხადი გახდება, რომ „დემოკრატიული მოძრაობა“ ქვეყნის განვითარების დასავლურ კურსს აღიარებს. ტაქტიკურ მოსაზრებებში შეიძლება განსხვავებები იყოს, მოლაპარაკებები სწორედ ამიტომ მიმდინარეობს და სწორედ ამიტომ გრძელდება ის ამდენ ხანს, რომ დაახლოება და შეჯერება მოხდეს“.**

ამბობენ, დიდი ოპოზიციური გაერთიანების შექმნა ნინო ბურჯანაძის ამბიციების გამო ჩაიშალა, რადგან კონსოლიდაციის განხილვისას ლიდერებისგან საკუთარი პარტიების დაშლა და დემოკრატიული მოძრაობის საარჩევნო სიაში ჩასმა მოითხოვა. „ვერსიის“ ინფორმაციით, თანამშრომლობის ამ ფორმატზე „ახალი მემარჯვენეები“ მზად არიან. მათი ერთ-ერთი ლიდერის, **მანანა ნაჭყებიას** განცხადებით, ოპოზიციური კოალიციის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორები სწორედ „მემარჯვენეები“ იყვნენ, თუმცა შემდეგ მოვლენები მათთვის მოულოდნელი სცენარით განვითარდა და პარტიებმა არა ადგილობრივი, არამედ საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება დაიწყეს: **„ვადასტურებ, არჩევნებზე ოპოზიციის ერთიანი ბლოკით ჩართვის ერთ-ერთი ინიციატორი სწორედ „ახალი მემარჯვენეები“ ვიყავით. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ მხოლოდ ბარიერი კი არ გადავლახოთ, არჩევნებზე წონადი შედეგი დავდოთ. ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ მსგავსი ერთობა შემდგარიყო, მაგრამ მოვლენები სხვა სცენარით განვითარდა. იმის გამო, რომ შესაბამისი მტკიცებულებები არ მაქვს, ჩემი ეჭვების გახმაურებისგან თავს შევიკავებ, თუმცა, როგორც ჩანს, ცალკეულმა პარტიებმა ადგილობრივი არჩევნების ნაცვლად, გათვლა შორეულ პერსპექტივებზე გააკეთეს. ჩემი აზრით, ეს მცდარი შეხედულებაა, რადგან მომავალში ოპოზიციის სიმძლავრის გამოსაკვეთად, ადგილობრივ არჩევნებში წონადი შედეგის მიღება აუცილებელია“.**

როგორც „ვერსიისთვის“ გახდა ცნობილი, სწორედ „შორეული გათვლის“ გამო განაცხადა ნინო ბურჯანაძემ უარი ალექსანდრე ებრალიძის ფინანსებში გახლართულ კახა კუკავასთან თანამშრომლობაზე.

დასასრული მე-4 გვერდზე

სასაზღვრო პოლიციამ საზღვრის უკანონო კვეთისთვის ერთი პირი დააკავა

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს დასავლეთის ოპერატიული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1989 წელს დაბადებული, მაროკოს სამეფოს მოქალაქე კეჯჯი ი. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ კეჯჯი ი-მ სასაზღვრო საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, უკანონოდ გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

გამოძიება საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

რა საკანონმდებლო ინიციატივას ითხოვს დავით უსუფაშვილი როლანდ ახალაიას საკითხზე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

„პარლამენტის წევრ როლანდ ახალაიას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე პარლამენტის თანხმობის საკითხის სამართლებრივი გარემოებების შესწავლის შემდეგ, გაირკვა, რომ:

ა) საქართველოს პარლამენტს არ გააჩნია როლანდ ახალაიას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხის განხილვის კონსტიტუციური უფლებამოსილება (კონსტიტუციის 52-ე მუხლი) და სამართლებრივი პროცედურები (პარლამენტის რეგლამენტი, კანონი პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ);

ბ) საქართველოს მთავარ პროკურორს არ გააჩნია პარლამენტის წევრის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესაძლებლობა პარლამენტის თანხმობის გარეშე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე და 169-ე მუხლები);

გ) ამგვარი სამართლებრივი კოლიზიის შედეგად, პარლამენტის წევრს პრაქტიკულად აბსოლუტური იმუნიტეტი ენიჭება — შეუძლებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა და მტკიცებულებათა უტყუარობისა;

დ) აღნიშნული აბსურდული ვითარების მიზეზია 2010 წლის სექტემბერში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე და 169-ე მუხლებში შეტანილი ცვლილება (ინიციატორები პ. კუბლაშვილი და ლ.თორდია), რამაც კანონის დონეზე აღადგინა ის ინსტიტუტი, რომელიც 2004 წლიდან გაუქმებული იყო კონსტიტუციის დონეზე. ირკვევა ისიც, რომ აღნიშნული საკითხი არანაირი ფორმით არ ფიგურირებდა კანონპროექტში არც ინიცირების და არც პირველი მოსმენით მიღების დროს და პროექტს ჩაემატა მეორე მოსმენის დროს, რაც საკანონმდებლო პროცესის უხეში დარღვევაცაა.

შექმნილ ვითარებაში გადავწყვიტე, მივმართო პარლამენტის ბიუროს, რათა დაუყოვნებლივ მოხდეს კანონპროექტის ინიცირება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2010 წელს შეტანილი კონსტიტუციის საწინააღმდეგო ცვლილების დაჩქარებული წესით გასაუქმებლად, რაც საქართველოს მთავარ პროკურორს საშუალებას მისცემს, ხელოვნური და არაკონსტიტუციური სამართლებრივი დაბრკოლებების გარეშე, განახორციელოს თავისი უფლებამოსილება; მათ შორის, როლანდ ახალაიას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხში. რაც შეეხება პარლამენტის წევრის იმუნიტეტს, იგი ამომწურავადაა განსაზღვრული საქართველოს კონსტიტუციით (პარლამენტის თანხმობა დაკავებაზე, დაპატიმრებაზე, ჩხრეკაზე) და განუხრელად იქნება დაცული საქართველოს პარლამენტის მიერ“, — აღნიშნულია განცხადებაში.

„ვერსიანიუსი“

რატომ გადამალა სააკაშვილის დადგენილება და რა ფარული ზრახვები ამოძრავებდა თბილისის ყოფილ მერს

ვახტანგ რჩეულიშვილი: „როცა სჭირდებოდა, უგულავას ფეხებზე ეკიდა ყველა, მათ შორის პრეზიდენტიც, თავისი ავტორიტეტის ზრდისთვის კორუფციული დანაშაულის დიდი სქემა აქვს გაკეთებული!“

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

თბილისის მერიასთან „ცენტრ პოინტის“ წარმომადგენლებმა და დაზარალებულმა კლიენტებმა, თბილისის განვითარების ფონდის სარჩელის გაბათილების მოთხოვნით, საპროტესტო აქცია გამართეს. აქციაზე იმყოფებოდა ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელიც „ვერსიასთან“ გიგი უგულავას დანაშაულსა და მის მიერ „ცენტრ პოინტის“ გაძარცვის მიზნით შემუშავებულ სქემაზე უკვე ღიად საუბრობს. რატომ გადამალა მაშინდელი საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დადგენილება და რა ფარული ზრახვები ამოძრავებდა თბილისის ყოფილ მერს, ამ კითხვას კომპანიის ერთ-ერთ მფლობელი თავად უპასუხებს.

— ბატონო ვახტანგ, გიგი უგულავას ბრალს რა მტკიცებულებების საფუძველზე სდებთ?

— თბილისის განვითარების ფონდმა, რომელიც გიგი უგულავას შექმნილია, კომპანია „დექსუსს“ 11 მილიონი ლარი „ასესხა“, თუმცა ამ თანხიდან კონკრეტულად მშენებლობაზე კაპიკი არ დახარჯულა. მოგვიანებით, ფონდმა მერიას „დექსუსისგან“ ერთ-ერთი კორპუსის ვითომშეძენის გამო, ხუთნახევარი მილიონი ლარი დაუბრუნა. პრაქტიკულად, არჩევნებისთვის ფული გაათეთრეს და ახლა უნდათ, ეს ვალი ჩვენ ვაღიაროთ, რასაც, რა თქმა უნდა, არ გავაკეთებთ.

— ყოფილმა მერმა „ცენტრ პოინტის“ წინააღმდეგ, კონკრეტულად, რა სქემა შეიმუშავა?

— „ცენტრ პოინტის“ წინააღმდეგ შემუშავებული სქემა გულისხმობდა აქტივების მითვისებას, რაც 2007 წელს დაინყო, როცა არ მოგვეცა მშენებლობის დროზე დამთავრების უფლება. შენობა 2006 წელს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მერიამ, სანამ არ მოაჭრა ერთი სადარბაზო, რომელიც უკვე 4 მილიონად ჰქონდა გასხვისებული, კორექტირებული გეგმა არ დაამტკიცა. მერე, ჩვენი გაყიდული უზარმაზარი აქტივები ხელთ „დექსუსს“ ჩაუვარდა. 60 მილიონი აქვს გახარჯული ამ კომპანიას, მშენებლობა კი დაუსრულებელია. უგულავას გარეშე არც ერთი საკითხი არ წყდებოდა, მან ჯერ თითქოს შენობა მიყიდა, მერე კი არჩევნებზე 11 მილიონი რომ დასჭირდათ, „დექსუსისთვის“ მიაცემინა კრედიტი, ის ფული სად არის, კაციშვილმა არ იცის იმიტომ, რომ მშენებლობა არ დამთავრებულა და ახლა ლეგალიზაცია უნდათ.

— როგორ ფიქრობთ, მაშინ, როცა თქვენი ოჯახის წევრი და „ცენტრ პოინტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი პარლამენტის ვიცე-სპიკერი და ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატი იყო, ასეთი ფაქტი თქვენს წინააღმდეგ რატომ მოხდა?

— რუსუდან კერვალიშვილი სჭირდებოდათ როგორც დამფინანსებელი, მაგრამ გადაწყვიტეს, დაფინანსებას მოპარვა სჯობდა და უგულავა პირდაპირ ძარცვაზე გადავიდა. როცა ნახეს, რუსუდანი სერიოზული პოლიტიკოსია, ძალიან კარგად მუშაობს, „ცენტრ პოინტის“ ხარჯზე არავის დაფინანსებაზე არ ფიქრობს, თანაც პარტიაში მთელი მიმართულება წაიყვანა, ეს აღარ მოეწონათ და ჩვენი ოჯახის გაკოტრება გადაწყვიტეს, თუმცა სიმართლის მომხრე ვარ და ამას მთელ ნაციონალურ მოძრაობაზე ვერ ვიტყვი. როცა ძალიან გვიჭირდა, სააკაშვილს მივმართე, ვინაიდან ბაზარი (ნინოშვილის ქუჩაზე 2 ჰექტარი მიწა) მერიამ ანუ უგულავამ მოგვყიდა იურიდიული დარღვევებით, ფული გადავიხადეთ და 2 წლის მანძილზე მფლობელობაში ვერ შევედით. მაშინდელმა პრეზიდენტმა, პირადი განკარგულებით, დანარჩენი ინვესტიციის გადახდის ვადა, 14-ის ნაცვლად 24 თვემდე გაგვიზარდა და 5 მილიონი ლარის ინვესტიციის ფასი 3 მილიონამდე დაიყვანა. ეს დადგენილება გიგი უგულავამ დამალა და ბაზარი წაგვართვა თავისი ძველი ციფრებით. ამის შემდეგ მიაქირავა შარანგიების კლანს (დეზერტირების ბაზარს), 40 თეთრად, როცა 1 კვადრატულის რეალური ქირის ფასი 4 ლარი გახლდათ.

— ანუ უგულავას პირადი ინტერესები ამოძრავებდა?

— როცა საჭირო იყო, მას ფეხებზე ეკიდა ყველა, მათ შორის პრეზიდენტიც, თავისი ავტორიტეტის ზრდისთვის უგულავას კორუფციული დანაშაულის დიდი სქემა აქვს გაკეთებული. არჩევნებისა და საერთო ინტერესის გარდა, ასევე არსებობდა პირადი ზრახვები, შეიძლება სააკაშვილის ადგილიც უნდოდა, ან თავის დაჯგუფებას ამზადებდა. მთელ ნაციონალურ მოძრაობაზე აუგს ვერ ვიტყვი, ამ შემთხვევაში, უგულავას კონკრეტულ დანაშაულზეა ლაპარაკი.

ბურჯანაძე ივანიშვილის სქემას იმეორებს

მე-3 გვერდიდან

„გარიყულმა“ კუკავამ კი, პასუხად დამოუკიდებელი თამაში წამოიწყო და თბილისის მერის არჩევნებში კანდიდატურის დასახელება კოლეგებს დაასწრო. თუმცა მას შემდეგ, რაც დემოკრატიული მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატებს გაურიგდა, კახა კუკავამ მარტო დარჩენის საშიშროება იგრძნო და ნინო ბურჯანაძეს ამჯერად საჯაროდ მიმართა: **„შევქმნათ ერთიანი საარჩევნო ბლოკი. ბლოკის შექმნის წინაპირობად „თავისუფალი საქართველო“ არც ერთ საკითხს არ აყენებს. ქალბატონ ნინოს ვთავაზობთ, თავად დაასახელოს თბილისის მერობის კანდიდატი, ბლოკის პირველი ნომერი და დანიშნოს საარჩევნო შტაბის უფროსი. ამასთან მსურს, ნათლად განვაცხადოთ, რომ ჩვენ შორის არსებული პრინციპული სხვაობისა და საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი „სხვა“ მიზეზების გამო, საარჩევნო კოალიციაზე მოლაპარაკებებს არც ქრისტიან-დემოკრატებსა და არც ეროვნულ-დემოკრატებთან არ ვაწარმოებთ და არც ვგეგმავთ. არჩევნები ახლოვდება, მოლაპარაკებებიც უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. ამიტომ საარჩევნო ბლოკის შექმნაზე ქალბატონი ბურჯანაძისგან დადებით ან უარყოფით პასუხს ამ კვირის ბოლომდე ველოდებით“.**

ნინო ბურჯანაძესთან ქრისტიან-დემოკრატების გაერთიანებით არც „ქართული დასის“ ლიდერი **ჯონდი ბაღათურია** დარჩა მოხიბლული. მისი განცხადებით, ასეთი კონფიგურაციით გაერთიანებაში შესვლის თანხმობა ამომრჩევლისგან უნდა მიიღოს: **„ორი თვის განმავლობაში არასაპარლამენტო ოპოზიციას ინტერფრაქციულ ფორმატში მუშაობა გვიწევდა. ბუნებრივია, ამ პროცესში პირადი ურთიერთობებიც გაჩნდა, მაგრამ პოლიტიკოსები პრაგმატული ხალხი ვართ, ამიტომ ჩვენი მხარდამჭერები უნდა იყვნენ თანახმა, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასთან გავერთიანდეთ. პატივს ვცემ ყველას, ხელს არავის ვკრავ, მაგრამ რჩევა ხალხს უნდა ვკითხო. ჩემ ხალხს ვერ ვუღალატებ“.**

კვირის ბოლომდე პარტიულ პოზიციას ეროვნულ-დემოკრატებიც დააფიქსირებენ, თუმცა, როგორც „ვერსიასთან“ გურამ ჩახუაძემ აღნიშნა, პარტია დამოუკიდებლობას შეინარჩუნებს და ერთი პოლიტიკური ძალის ქვეშ არ გაერთიანდება: **„ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ოპოზიციური კოალიციის მომხრე თავიდანვე იყო, რაც, ფაქტია, ვერ მოხერხდება. ერთი პარტიის ქვეშ გაერთიანების წინააღმდეგნი ვართ და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად ვრჩებით. მოლაპარაკებები ამ ეტაპზეც გრძელდება, მაგრამ ჯერჯერობით დეტალების გახმაურებისგან თავს შევიკავებ“.**

უცნობია „ევროპელი დემოკრატებისა“ და ზურა ხარატიშვილის პოზიცია, თუმცა, სავარაუდოდ, პაატა დავითაია, ბაჩუკი ქარდავა და ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე, როგორც საპრეზიდენტო არჩევნებში, ადგილობრივი არჩევნებისთვისაც ერთობლივი ძალებით იბრძოლებენ. პაატა დავითაია და ზურა ხარატიშვილი ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფებიან და სამი პარტიის გაერთიანების საკითხიც მათი საქართველოში დაბრუნების შემდეგ გადაწყდება. ფაქტია, ნინო ბურჯანაძე უკვე ნაცად ხერხს მიმართავს და ბიძინა ივანიშვილის განვლილი გზის განმეორებას ცდილობს, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ამჯერად ერთიანი ოპოზიციური კოალიციის შექმნა ვერ მოხერხდება და ამ ფლანგზე, მოახლოებულ არჩევნებამდე, რამდენიმე პოლიტიკურ გაერთიანებას ვიხილავთ.

მართალია, გიორგი თარგამაძე აცხადებს, ბურჯანაძის ირგვლივ „ქართული ოცნების“ მსგავსი გაერთიანება შეიქმნებაო, მაგრამ მას და, შესაბამისად, სრულიად პოლიტიკურ სპექტრს ავიწყდება, რომ „ქართული ოცნების“ წარმატება ბიძინა ივანიშვილის ლიდერობამ განაპირობა, თორემ მანამდე გუბაზ სანიკიძე და ეკა ბესელია ნინო ბურჯანაძესაც ჰყავდა, მაგრამ, კახელის ანეკდოტის არ იყოს, „გამაადგა, რო?!“

აშშ რუსეთს უკრაინელი ოლიგარქების დაპატიმრებით ანეიტრალებს

ვინ არის დიმიტრი ფირტაში და რა მესიჯი გაუგზავნა ობამამ პუტინს მილიარდერის დაპატიმრებით

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

„რუსეთს თავისი ქმედებები ძვირი დაუჯდება! ვაშინგტონი მზადაა, ამისთვის ყველაფერი გააკეთოს!“ — აშშ-ს პრეზიდენტის ამ განცხადების შემდეგ, მალევე ცნობილი გახდა იმ სანქციების სია, რომელსაც აშშ და ევროკავშირი რუსეთს დაუწესებენ: გაიყინება კაპიტალი, ინვესტიციები, კრედიტები; დაიბლოკება ბუნებრივი აირის გაყიდვები ევროპაში; საზოგადოებას, ბიზნესმენებს, ჩინოვნიკებს შეეზღუდებათ, რიგ შემთხვევაში კი, აეკრძალებათ აშშ-ს ტერიტორიაზე შესვლა; შემოწმდება აშშ-ში მცხოვრები რუსული წარმომავლობის პირების კაპიტალი და ქონება; გაირკვევა თანხების მიზიდვის სქემები; დაიწყება გამოძიება რუსი ოლიგარქების ყველა გახმაურებულ შენაძენზე, მათ შორის პროხოროვისა და აბრამოვიჩის საფეხბურთო კლუბებთან მიმართებაშიც.

აშშ-მ რუსეთში მოღვაწე ოლიგარქების გარდა, „ნადირობა“ დაიწყო უკრაინელ მილიარდერებზეც — რამდენიმე დღის წინ, აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიუროს მოთხოვნით, ვენაში, ქრთამის აღებისა და კრიმინალურ დაჯგუფებებთან კავშირის ბრალდებით, დააკავეს 48 წლის უკრაინელი მილიარდერი დიმიტრი ფირტაში, ხოლო ორიოდ დღეში იგი 125 მილიონი ევროს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. იმავე 17 მარტს, შვეიცარიის პროკურატურამ, 4-საათიანი ჩხრეკა ჩაატარა კომპანიაში DTEK Trading SA , რომელიც უკრაინელ მილიარდერ რინატ ახმეტოვს ეკუთვნის.

ფირტაშის დაპატიმრება, უკრაინული და რუსული ელიტისთვის ნამდვილი შოკი იყო. 2013 წლის მონაცემებით, იგი 3,327 მილიარდ დოლარიანი კაპიტალით მეოთხე ადგილზეა უკრაინის ყველაზე მდიდარი ადამიანების რეიტინგში. მთავარი კი ისაა, რომ ვიქტორ იუშჩენკოს პრეზიდენტობის დროს, რუსეთისა და უკრაინის გაზის კომპანიებს შორის შუამავალია გახლავთ და საეჭვოდ გაძლიერებულ ოლიგარქს კი პრემიერმა იულია ტიმოშენკომაც კი ვერაფერი მოუხერხა. მიუხედავად იმისა, რომ მილიარდერის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელიც შეიტანა და შეთქმულებასა და კორუფციულ გარიგებებშიც დაადანაშაულა. ძირითადი კაპიტალი ფირტაშმა „როსუკრენერგოს“ დამსახურებით შექმნა, რომელიც 2009 წლამდე რუსეთის „გაზპრომსა“ და უკრაინის „ნავთობგაზს“ შორის შუამავალი იყო. ფირტაში დგას, 2002 წელს, უნგრეთში დაარსებულ კომპანია EuralTransGas-ის უკან, რომელიც 2003 წელს, რუსეთის გავლით, უკრაინაში თურქული გაზის ტრანზიტორი გახდა და რუსული კომპანია „იტერა“ ჩაანაცვლა. 2004 წლიდან იგივე ტრანზიტს კომპანია „როსუკრენერგო“ ასრულებს, რომლის 50% წილის მფლობელი „გაზპრომია“, 50% კი ფირტაშს ეკუთვნის. მისივე საკუთრებაა ტელეარხი „ინტელი“, რომელიც ქვეყნიდან იანუკოვიჩის გაქცევის წუთამდე, მის რუპორად დარჩა. ფირტაშს ჟურნალისტები მუდმივად ამხელდნენ კრიმინალურ დაჯგუფებებთან კავშირში. წლების წინ, ერთ-ერთი ბრიტანელი ჟურნალისტი იმასაც წერდა, მილიარდერი თავად გამომიტყდა, „გაზის მეფედ“ რუსული კრიმინალური დაჯგუფება „სოლნცევსკიეს“ ლიდერმა, სემიუ მოგილევიჩმა აკურთხაო. წლების განმავლობაში სწორედ მოგილევიჩი მოიაზრებოდა ფირტაშის ლობისტად, მაგრამ მისი დაპატიმრების შემდეგაც, „გაზის მეფის“ იმპერიას პრობლემები არ შექმნია, მედიამ კი დაასკვნა — დიმიტრი ფირტაშს ზურგს კრემლი და პირადად ვლადიმერ პუტინი უმაგრებს.

პუტინის ფავორიტ უკრაინელ ოლიგარქებს შორის მოიაზრება რინატ ახმეტოვიც. მისი ტრეიდერი კომპანია კავშირშია MAKO Trading SA-სთან, რომელიც გაქცეული პრეზიდენტის უფროსი სტომატოლოგი ვაჟის, ალექსანდრ იანუკოვიჩის მფლობელობაშია. ახმეტოვს სამართალდამცავები სწორედ ამ ფარულ კავშირსა და ფულის გათეთრებას ედავებიან. ახმეტოვის ენერგოჰოლდინგმა ტრეიდერი კომპანია შარშან ივნისში, „ევროპის ბაზარზე ენერგიის პირდაპირი კავშირის უზრუნველსაყოფად“ შექმნა და ჟენევაშია რეგისტრირებული. „ფორბსის“ მონაცემებით, ახმეტოვი უკრაინის ყველაზე მდიდარი ადამიანია 15,4 მილიარდ დოლარით, თუმცა შარშან, უკრაინის კრიზისმა, მისი კაპიტალი 2,9 მლრდ დოლარით შეამცირა.

დიმიტრი ფირტაში, რინატ ახმეტოვი, ვიქტორ პინჩუკი, სერგეი ტარუტო, იგორ კოლომოისკი — უკრაინელი ოლიგარქების სწორედ ეს ხუთეული მართავდა უკრაინას ვიქტორ იანუკოვიჩის პრეზიდენტობის დროს. მათგან ორს, აშშ-ს სამართალდამცავებმა უკვე შეუქმნეს პრობლემები. შესაბამისად, ჩნდება ლოგიკური კითხვა: რატომ დაერია ამერიკული ფედერალური საგამოძიებო ბიურო უკრაინელ ოლიგარქებს მაინცდამაინც ახლა და ვინ იქნება შემდეგი?

როგორი სანქციებიც უნდა დააწესოს აშშ-მ და ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ, ეს უკანასკნელი მაინც რჩება ანგარიშგასაწევ ძალად. ფაქტია, დასავლეთი კვლავაც აგრძელებს რუსეთში ფულის ჩადებას — ორმხრივი ვაჭრობის მოცულობამ წელიწადში 100 მლრდ დოლარს უკვე დიდი ხანია გადააჭარბა, ხოლო ევროპული ნავთობისა და გაზის მესამედიც რუსეთზე მოდის. ამ ფონზე გასაკვირი არაა, რომ რუსეთთან მიმართებაში, ოფიციალური ვაშინგტონი და ევროკავშირი მაინც ფრთხილობს. ეს იყო იმის მიზეზიც,

რომ დასავლელი ლიდერები სამხედრო ძალის გამოყენებას რუსეთის განეიტრალების საშუალებად არც კი განიხილავდნენ. ეს იცის პუტინმაც და, მისი გათვლით, დასავლეთი არ წამოიწყებს მასშტაბურ სავაჭრო ომს, რომელიც ერთნაირად დამანგრეველი იქნება ორივე მხარისთვის. პროცესი დაწყებულია: რუსეთს გამოაქვს დასავლეთიდან მილიარდობით დოლარი, დასავლეთი თავისუფლდება რუსული აქტივებისგან, მოსკოვი კი, რუბლის კურსის შესანარჩუნებლად ამერიკულ ობლიგაციებს ყიდის. ამ ფონზე მოსალოდნელიც იყო, აშშ-ს უკრაინაში რუსეთის გავლენის გასანეიტრალებლად, ბრძოლის ახალი მეთოდი მოეძებნა და მოძებნა კიდეც — უკრაინის გათავისუფლება რუსეთუმე ოლიგარქებისგან. ამ ლოგიკით, ახმეტოვისა და ფირტაშის დაპატიმრება სწორედ დასავლურ-რუსული პოლიტიკის ნაწილია.

რაში სჭირდება აშშ-ს ფირტაში ან ახმეტოვი? აშშ-ს ფედერალური საგამოძიებო ბიუროს მითითებით, დაპატიმრებულ ოლიგარქებს არავინ გაათავისუფლებდა თანამშრომლობის გარეშე. სწორედ ახლა იხსნება იანუკოვიჩის დალუქული დოკუმენტები, ახლა სწავლობენ უკრაინის ექსპრეზიდენტის „შავ ბუღალტერიას“. შესაბამისად, აშშ-ს სპეცსამსახურები ოლიგარქებისგან არა მხოლოდ საინტერესო ინფორმაციას, ჩვენებებსაც მიიღებენ კონკრეტული ადამიანების წინააღმდეგ, რაც მტკიცებულებებად გამოდგება. მითუმეტეს, რომ ვიქტორ იანუკოვიჩთან დაახლოებული დიმიტრი ფირტაშის დაპატიმრება კი უკრაინის ახალი ხელმძღვანელის აშშ-ში ვიზიტს დაემთხვა, რამაც ეს ეჭვები კიდევ უფრო გაამძაფრა.

არის კიდევ ერთი მიზეზი — ფირტაში, იანუკოვიჩთან მეგობრობის პარალელურად, მუდმივად იყო ახლო კავშირში ვიტალი კლიჩკოსთან. „უდარი“, უკრაინულ მედიაში, ხშირად მოიხსენიებოდა ფირტაშის „ჯიბის პარტიად“. შესაბამისად, უკრაინელი პოლიტოლოგები ფიქრობენ, რომ ფირტაშის „განეიტრალებით“, კლიჩკო და მისი „უდარი“, ამ სტატუსისგან გათავისუფლდნენ და იმის დემონსტრირება მოხდა, რომ ამიერიდან, ეს ძალა, ამერიკული სპეცსამსახურების კონტროლის ქვეშ მოექცა. თუმცა, არა მხოლოდ „უდარი“ — ბოლო პერიოდში, მუდმივად იყო საუბარი იმაზე, რომ აშშ უკრაინაში „მარშალის გეგმის“ განხორციელებას აპირებდა. ამას კი, ვერავინ გააკეთებდა, სანამ ფარულად, ქვეყნის მართვის სადავეები ოლიგარქებს ეჭირათ. ამერიკას ოლიგარქებისგან უკრაინის განეიტრალება, ამ ქვეყანაში რუსული გავლენის შესუსტების გარდა, საკუთარი გეგმების განსახორციელებლადაც სჭირდება. ფირტაშისა და ახმეტოვისთვის პრობლემების შექმნით კი აშშ-მ ყველა უკრაინელი ოლიგარქი აქცია, უბრალოდ, მსხვილ ბიზნესმენად, რომლებიც პოლიტიკურ პროცესებს ვეღარ წარმართავენ. საერთაშორისო ექსპერტების პროგნოზი ასეთია: აშშ-ს სპეცსამსახურები, მალე, უკრაინაში, სხვა მილიარდერებსაც ესტუმრებიან და აუხსნიან რა პრინციპებით უნდა იმოქმედონ. არც ახლა და არც მომდევნო პრეზიდენტის პირობებში ქურდობა და ლობირება აღარ იქნება შესაძლებელი, რადგან ამერიკელი და ევროპელი გადამხდელების ფულის მოპარვა არ შეიძლება, უკრაინული ფული კი უკვე არარ არის. ახლა საკითხავია, გააგრძელებს თუ არა აშშ სხვა მილიარდერების დაპატიმრებას. ექსპერტების ნაწილს მიაჩნია, რომ დაპატიმრებები აღარ გაგრძელდება, რადგან სხვა ოლიგარქებისთვის ეს გაკვეთილი იქნება და ყველა მიხვდება, რომ თამაშის წესები შეიცვალა.

თუმცა დიმიტრი ფირტაშის დაპატიმრებით აშშ-მ „მეორე კურდღელიც“ დაიჭირა — რუს ოლიგარქებსაც გაუგზავნა მესიჯი, შეწყვიტონ პუტინის მხარდაჭერა, რადგან რეალურად, ისინიც დაუცველები არიან. მითუმეტეს, მათი ოჯახები დასავლეთში ცხოვრობენ და თითოეული მათგანის სხვადასხვა ეპიზოდებში დადანაშაულებაც არ გაუჭირდება აშშ-ს ფედერალურ საგამოძიებო ბიუროს. ამ ფონზე, ლოგიკურია საერთაშორისო ექსპერტების განწყობა — უკრაინაში პუტინთან დაახლოებული ოლიგარქების დაპატიმრებით, აშშ-მ უკრაინაში რუსული გავლენა შეასუსტა, რაც იმას ნიშნავს, რომ ორ ზესახელმწიფოს შორის გამოუცხადებელი ომი, აშშ-ს გამარჯვებით დასრულდა. რუსეთს კი ყირიმის მერთება, მართლაც, ძვირი დაუჯდება.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„გუდვილის“ დამფუძნებელი გოგი შევარდნაძე დუმილს არღვევს და ყველა ბრალდებას პასუხობს!

კომპანია „გუდვილის“ დამფუძნებელი გოგი შევარდნაძე ჟურნალისტებს არ სწყალობს და სულაც არ ცდილობს, საზოგადოებაში მასზე გავრცელებული ჭორ-მართალი ან დაადასტუროს, ან უარყოს, თუმცა „ვერსიის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაცია სათაურით — „დაიჭერენ თუ არა გოგი შევარდნაძეს“ — გახდა მიზეზი, რომ ბატონმა გოგიმ გადაწყვიტა, ყველა იმ კითხვაზე ეპასუხა, რომელიც წლებია დაგროვდა — მაშ ასე, რა მოხდა „გუდვილსა“ და თიბისი ბანკს შორის, რატომ შეიტანა სარჩელი პროკურატურაში მამუკა ხაზარაძემ, თუმცა მანამდე ГОГИ ШЕВАРДНАДЗЕ იმასაც განმარტავს, რა ურთიერთობა ჰქონდა ასლან აბაშიძესთან, რატომ შეექმნა პრობლემები სარფის საბაჟოზე და რამდენად რეალურია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „გუდვილის“ გაკოტრება შევარდნაძის დაბანდებულ ფულს უკავშირდება აფრიკის რომელიღაც ქვეყანაში...

— აფრიკაში არასდროს ვყოფილვარ, შეგიძლიათ, ნებისმიერს ჰკითხოთ.

— მერე რა, რომ არ ყოფილხართ, თბილისიდანაც შეგეძლოთ თანხის გადარიცხვა...

— ტყუილია, ეს კარგად მოგონილი ზღაპარია — არც აფრიკაში ვყოფილვარ და არც ოქროს საბადო მაინტერესებს.

— აბა, რატომ შეიქმნა „გუდვილში“ ფინანსური პრობლემები, თიბისი ბანკი ამას თქვენი მენეჯმენტის არასწორ მუშაობას აბრალებს, სინამდვილეში რა მოხდა?

— ხომ კარგად გახსოვთ, 9 წლის განმავლობაში რა პირობებში ვცხოვრობდით? ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პირობებში, ბიზნესი რეკეტისა და ტერორის ქვეშ იყო.

— გარკვეულ თანხას უხდიდით ნაციონალურ მოძრაობას და „გუდვილში“ შექმნილი ფინანსური პრობლემებიც ამის ბრალია?

— კომპანია „გუდვილმა“ 2 000 000 ლარი გადაურიცხა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ძვირადღირებული ავტომობილები რომ შეეძინა, რაბათის ციხის პროექტში კი 3 000 000 ლარი გადავრიცხეთ. პრაქტიკულად, ყველა ბიზნესმენი ასეთ მდგომარეობაში იყო. ახლა მხოლოდ მილიონებზე გესაუბრებით, თორემ 200 000-დან 300 000 ლარიან გადარიცხვებს არ ვთვლი, რასაც, რა თქმა უნდა, ნებით არ ვაკეთებდით.

— ასეთი სოლიდური ხარჯის ფონზე, როდესაც მმართველი პარტია გავიწროებდათ, ვაკისა და საბურთალოს „გუდვილი“ რატომ გახსენით, „მარშეს“ წარმოება რატომ წამოიწყეთ და საერთოდ, ჰიპერმარკეტების ქსელი რატომ გააფართოვეთ?

— ყველაფრის მიუხედავად, ჩვეულებრივ რეჟიმში ვმუშაობდით, რადგან საქართველოს სავაჭრო დარგში, ჩვენ ცივილიზაცია შემოვიტანეთ. წინა ხელისუფლებასაც მოსწონდა ჩვენი სტრატეგია, რაც მთავარია, ამას ხალხისთვის ვაკეთებდით, მაგრამ ზედმეტი ხარჯიც გვქონდა და „გუდვილის“ ფინანსური პრობლემებიც ამას უკავშირდება.

— თიბისი ბანკში აცხადებენ, რომ „გუდვილის“ მენეჯმენტი ბანკს არასწორ ფინანსურ ინფორმაციას აწვდიდა, რატომ დაუმალეთ პარტნიორ ბანკს თქვენი პრობლემები?

— 10 წელია, მხოლოდ თიბისი ბანკში გვაქვს ანგარიში გახსნილი და როდესაც მისი წარმომადგენლები ამბობენ, „გუდვილის“ მენეჯმენტი“ არასწორ ინფორმაციას გვაწვდიდაო, ტყუილია. ყველა სახის ფინანსურ ოპერაციას, ყველა გადარიცხვას თიბისი ბანკის საშუალებით ვახორციელებდით და როგორ შეიძლებოდა, ან მე, ან ჩემს მენეჯმენტს ბანკი მოეტყუებინა? 2004 წლიდან დღემდე, თიბისი ბანკს ყველა ინფორმაცია ჰქონდა „გუდვილის“ ფინანსური მდგომარეობის შესახებ. თანხა, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს ანგარიშზე გადავრიცხეთ და რაბათის ციხისთვის გამოვყავით, როგორ შეიძლებოდა, ბანკისთვის დაგვემალა? თანაც ეს ის პერიოდია, როდესაც 5 000 ლარზე მეტ გადარიცხვას მონიტორინგის სამსახური აკონტროლებდა. ეს ჯერ არსად მითქვამს, მაგრამ წილის გამოსასყიდად, ერთ-ერთ პარტნიორს 17 000 000 ლარი გადავუხადე და ახლა გეკითხებით, როგორ შეიძლება, ბანკმა ამდენჯერ გასცეს ათობით მილიონი ლარი და არ იცოდეს, რისთვის სჭირდება ეს კომპანიას? ბოლოს და ბოლოს, საერთაშორისო აუდიტი მაინც მოეწვიათ და ისინი ეტყოდნენ, რომ „გუდვილისთვის“ თანხის გამოყოფა არ შეიძლებოდა. თუმცა თიბისი ბანკს საერთაშორისო აუდიტი რომ ჩაეტარებინა, მაშინ ეკონომიკის სამინისტროს ანგარიშზე და რაბათის ციხისთვის თანხას ვერ გადავრიცხავდით, ვერც წილს გამოვისყიდიდით. რეალურად, თიბისი ბანკი მაშინ იმიტომ გვიყოფდა მილიონობით ლარის კრედიტს, რომ მაშინდელი ხელისუფლებისგან, მათაც ასეთი დავალება ჰქონდათ მიღებული. პრაქტიკულად, 9 წლის მანძილზე, „გუდვილმა“ ნაციონალური მოძრაობისა და ბანკის ვალების გასასტუმრებლად იმუშავა. ცივილიზებულ ქვეყნებში, ბანკი ბიზნესის პარტნიორია. როდესაც ბიზნესს პრობლემა ექმნება, ბანკი ცდილობს, გადაარჩინოს. თიბისი ბანკს თავისუფლად შეეძლო, „გუდვილის“ რესტრუქტურიზაცია განეხორციელებინა, ბოლოს და ბოლოს, რომელიმე ობიექტი გაეყიდა კიდეც, რომ კომპანიას ვალის ნაწილი დაეფარა. დარჩენილ დავალიანებაზე კი გრაფიკი უნდა გაეწერა, რომ ვალი ეტაპობრივად, ნელ-ნელა გადაგვეხადა.

— ვალი კი არა, თიბისი ბანკში იმასაც აცხადებენ, რომ კრედიტებს არ იხდიდით, რატომ?

— როგორ არ ვიხდიდი, 9 წლის განმავლობაში, ერთი დღის დაგვიანებაც კი არ მაქვს. მომწოდებლების დავალიანება დაგვიგროვდა, თორემ ბანკისთვის ერთი დღეც არ დამიგვიანებია.

— მომწოდებლების ვალი რატომ დაგიგროვდათ?

— 2012 წლის არჩევნების შემდეგ, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, თიბისი ბანკმა სესხების დაფარვა მოგვთხოვა, დაგვპირდნენ, რომ სესხის ვადას გაგვიგრძელებდნენ, მაგრამ არ გაგვიგრძელეს. სამწუხაროდ, მომწოდებლებისთვის გადასახდელი თანხით, საბანკო სესხები დავფარეთ და პრობლემაც ამიტომ შეგვექმნა. თიბისი ბანკის წარმომადგენლებმა ბოლოს ისიც კი გვითხრეს, სესხები მთლიანად დაფარეთ, თორემ ქონებას წაგართმევთო, რაც გააკეთეს კიდეც.

— „გუდვილის“ ერთ-ერთი მომწოდებელი „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიაც“ იყო, თემურ ჭყონიას „გუდვილში“ რეაბილიტაციის მმართველის შემოყვანა სურდა, უარი რატომ უთხარით?

— არა, თემურ ჭყონია არაფერ შუაშია, ის ჩვენი ერთ-ერთი მომწოდებელია, რომლის ვალიც გვაქვს.

— თიბისი ბანკის დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძეც აწარმოებდა მოლაპარაკებას რამდენიმე ინვესტორთან, მაგრამ თქვენ კატეგორიული წინააღმდეგი იყავით, რატომ ვერ შეთანხმდით?

— ასე არ ყოფილა. სინამდვილეში, ხაზარაძე პორტუგალიელ ბიზნესმენთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, რომელსაც მეც კარგად ვიცნობ. ამ ბიზნესმენს „გუდვილში“ შემოსვლა კი უნდოდა, მაგრამ საკუთარი პირობები ჰქონდა, რადგან ფინანსური პრობლემების მქონე კომპანიაში ინვესტიციების ჩადება არ სურდა და არც მომწოდებლების ვალის დაფარვას აპირებდა. როდესაც შევატყვე, რომ ქართველი მომწოდებლები რისკის ქვეშ დგებოდნენ, წინააღმდეგობა სწორედ ამ მიზეზით გავუწიე. ბანკს კი შევთავაზე, „გუდვილში“ რეაბილიტაციის მმართველი დაგვენიშნა, რომელიც მომწოდებლებს დაიცავდა და ამის მერე რომელი ინვესტორიც გსურთ, ის შემოიყვანეთ-თქო.

— ახლა „გუდვილის“ რეაბილიტაციის მმართველია საერთაშორისო კომპანია PKF, მაგრამ თიბისი ბანკში ამბობენ, რომ კომპანიას ფორმალურად ისევ თქვენ მართავთ.

— გამორიცხულია, რადგან საერთოდ არ ვიცნობ ამ კომპანიის წარმომადგენლებს. PKF სწორედ „გუდვილის“ მომწოდებლებმა აირჩიეს, 200 მომწოდებლიდან, სამი კომპანია იყო წინააღმდეგი. თიბისი ბანკში ასე იმიტომ აცხადებენ, რომ საერთაშორისო კომპანიის „გუდვილის“ რეაბილიტაციის მმართველად დანიშვნა არ აწყობთ, საკუთარ მიზნებს ველარ განახორციელებენ და ამიტომ. უამრავი სარჩელი გვაქვს შეტანილი სასამართლოში და თიბისი ბანკს საკუთარი წარმომადგენლის დანიშვნა იმიტომ სურდა, რომ ჩვენს მიერ სასამართლოში შეტანილი საჩივრები გამოეტანა, საერთაშორისო კომპანიას კი ამაზე ვერ დაითანხმებენ. ახლა „გუდვილში“ სტაბილური სიტუაციაა, მომწოდებლებს თანხას დროულად ვუხდით. რაც შეეხება ძველ ვალს, PKF რეაბილიტაციის გეგმას ამზადებს, რომელსაც უახლოეს დღეებში წარადგენს. ამ გეგმის მიხედვით, მომწოდებლებისა და, ზოგადად, „გუდვილის“ დავალიანება, ეტაპობრივად, გრაფიკის მიხედვით დაიფარება.

— ბატონო გოგი, „გუდვილის“ პრობლემების გარდა, თქვენთან სხვა კითხვებიც არსებობს. როდესაც სარფის საბაჟოს ხელმძღვანელობდით, მართლა დიდი ფული იშოვეთ მხოლოდ იმიტომ, რომ ასლან აბაშიძესთან მეგობრობდით?

— ამბობენ, ენას ძვალი არ აქვსო, თქვენ ისიც კი გითხრეს, რომ თურმე აფრიკაში, ოქროს საბადოში დავაბანდე ფული, მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილია. როდესაც სარფის საბაჟოზე დავინიშნე, სწორედ ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში გადაიქცა ეს საბაჟო თანამედროვე, ცივილიზებულ გამშვებ პუნქტად. იმ პერიოდში ცენტრალური ხელისუფლება გვაძლევდა გეგმას, სადაც გაწერილი იყო, რამდენი მილიონი ლარი უნდა დაებეგრა სარფის საბაჟოს სამ თვეში, რამდენი — ფოთის საბაჟოს და ა.შ., როდესაც გეგმა არსებობდა, რა ფულის გაკეთებაზეა საუბარი?! ასეთი რამ გამორიცხულია, რადგან სარფის საბაჟოზე განბაჟებულ ტვირთს თბილისშიც აჩერებდნენ და აკონტროლებდნენ, ასეთ პირობებში, როგორ შეიძლებოდა, ვინმეს ფული გაეკეთებინა?

დასასრული მე-7 გვერდზე

ვერსიანიუსი

TCH-მა ყირიმის „აფხაზეთიზაციაზე“ სიუჟეტი მოამზადა

უკრაინული ტელევიზიის TCH-ის გადამღებმა ჯგუფმა, რომლებიც მასალაზე მუშაობის დროს დააკავეს და აფხაზეთიდან გამოაძევეს, ყირიმის აფხაზური სცენარით განვითარებაზე სიუჟეტი მოამზადა. TCH სიუჟეტში აფხაზეთის დღევანდელ მდგომარეობას აღწერს. ჟურნალისტის თქმით, მთელ აფხაზეთში ათამდე შუქნიშანია და მხოლოდ 3 ბანკომატი. აქედან 2 სოხუმშია, ხოლო ერთი გაგრაში, ამ ორ ქალაქ შორის მანძილი 80 კილომეტრია. ამ ბანკომატებიდან არ შეიძლება, დღეში 100$-ზე მეტი გამოიტანო რუსულ რუბლებში.

ერთადერთი მნიშვნელოვანი, რაც რუსული ფულით აფხაზეთში გაკეთდა, არის გზატკეცილი. ეს გზატკეცილი კი ქვეყანაში ერთადერთი გამართული გზაა და ერთმანეთთან თითქმის ყველა ქალაქს აკავშირებს. მათ შორის მოგზაურობა მხოლოდ ე.წ. მარშუტკებითაა შესაძლებელი ან ტაქსით. აფხაზეთის რკინიგზა სრულიად პარალიზებულია.

რკინიგზის ხაზი „რუსეთის რკინიგზას“ ეკუთვნის, რომელთანაც 5 წლის წინ გაფორმდა ხელშეკრულება და მათ გაარემონტეს რკინიგზის აფხაზური მონაკვეთი. ამის მიუხედავად, ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომების გამო, მატარებლები საერთოდ არ დადიან. სოხუმის აეროპორტი სრულიად ცარიელია და ამ ობიექტთან დაცვაც არ დგას. მაღაზიებში მხოლოდ რუსული პროდუქცია იყიდება. ადგილობრივების თქმით, ადრე მაღაზიებში ქათმის კვერცხი მაინც იყო ადგილობრივი წარმოების, თუმცა პროდუქტზე ფასების ზრდის გამო, ესეც აღარაა. აფხაზები ვერც თავიანთ ქვეყანას ტოვებენ. ამისთვის, ფულის გარდა, ვიზებია საჭირო.

სოხუმში კი მხოლოდ რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობაა. აფხაზეთის ერთ დროს საუკეთესო სანატორიუმ „უკრაინას“ ახლა „მოსკოვი“ ჰქვია, ხოლო სსრკ-ს კომუნისტური პარტიის მდივნის აგარაკში ახლა „ეფესბე“ ბინადრობს.

„აფხაზეთის ხმა“

რუსუდან შელია
557-100-768

ირინა სარიშვილი „მეოცნებეთა“ და ნაციონალების მარტივ პოლიტიკურ გათვლას შიფრავს და ბოდიშის მოხდას ითხოვს!

ირინა სარიშვილს ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია სტრასბურგში უჩივის, თუმცა ყოფილი პრემიერ-მინისტრის მეუღლე არ აღმოჩნდა ერთადერთი, ვინც ედპ-ს ყოფილ ლიდერს, როგორც თავად სოციალურ ქსელში აღნიშნავს, „უტევს“. დავით ნარმანიას მისამართით გაკეთებულ განცხადებას, ჟურნალისტი ზაურ ნაჭყებია საგანგებო წერილით — „თბილისში „ჩამოთრეულო“ მეგრელებო, შეერთდით ანუ რას უწუნებს ირინა სარიშვილი დავით ნარმანიას?!“ — გამოეხმაურა. „ვერსიასთან“ ირინა სარიშვილი თბილისის მერის არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატის მინუსებს განმარტავს და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსაც აფასებს.

— არ ვიცი, შეიტანა თუ არა თაკო სალაყაიამ ჩემ წინააღმდეგ სტრასბურგში სარჩელი, თუმცა, ჩემი ინფორმაციით, ამისთვის ხანგრძლივი პროცედურების გავლაა აუცილებელი. ფაქტია, მარტო არ ვარ და მხოლოდ მე არ მივიჩნევ, რომ ვანო მერაბიშვილისთვის ხუთწლიანი პატიმრობა, რბილად რომ ვთქვათ, ცოტაა მაშინ, როცა ამ კაცს მთელი საქართველო ბრალს სდებდა და სდებს, მკვლელობებში, დასახიჩრებებში, პატიმრების წამებაში, ნარკობიზნესის ოჯახურად მფარველობაში. ამ მიმართულებით თუ ვინმემ პოზიცია შეცვალა, მხოლოდ ხელისუფლებამ და არა ჩვენ — საზოგადოებამ.

— და რამ განაპირობა ხელისუფლების პოზიციის შეცვლა?

— ფაქტია, „ქართულმა ოცნებამ“ პოზიცია არჩევნებამდე შეიცვალა და ნაციონალებთან ბრძოლას არ აპირებს, რადგან ძნელია, იდეოლოგიურად ტყუპისცალივით იდენტურ პარტიას ეომო. „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობაც სწორედ ამ წესებით თამაშობს — არც ერთს არ სურს ისეთი დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება, რომელიც კონტროლის კედელს გაარღვევს.

— სანამ შეთქმულებების თეორიებს განვიხილავთ, არ ფიქრობთ, რომ პრობლემა თავად არასაპარლამენტო ოპოზიციაშია, რომელიც არჩევნებში სამოქმედო გეგმაზე ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა?

— ეს იმის შედეგია, რომ, ზოგადად, ქართველებს პოლიტიკისადმი გაუგებარი დამოკიდებულება აქვთ. რა თქმა უნდა, „ოცნებაც“ და ნაციონალებიც ეცდებიან, ადგილობრივ არჩევნებშიც პირველ-მეორე ადგილი გაიყონ, თუმცა ეს ორი ძალა როგორც უნდა შეთანხმდეს, ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ბოლომდე იბრძოლებს. ისინი მაქსიმალურად შეეცდებიან, ყველა დონეზე პარტიული შემადგენლობა გააფართოვონ, ხოლო თუ ოპოზიციურ ფლანგზე ვითარება არ შეიცვალა და არასაპარლამენტო პარტიები ერთ მძლავრ მოძრაობად ან გაერთიანებად არ ჩამოყალიბდებიან, ადგილობრივი არჩევნებით არაფერი შეიცვლება.

— ნინო ბურჯანაძე პარტიებს საკუთარი პოლიტიკური გემოვნებით იერთებს. რა შანსი აქვს ყოფილ სპიკერს, პოლიტიკურ სპექტრში გარდამტეხ ძალად იქცეს?

— ნინო ბურჯანაძეს აქვს შანსი, მესამე ძალის ცენტრად ჩამოყალიბდეს, მაგრამ ამისთვის მხოლოდ სურვილი და ფინანსები საკმარისი არ არის. ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოახლოებულ არჩევნებში გაყალბება თუ სხვა ტიპის დარღვევები აუცილებლად იქნება. მესამე ძალის არსებობას კი აზრს მხოლოდ შემტევი ლიდერი აძლევს, რომელიც უკან არ დაიხევს და არჩევნებში ნებისმიერ გადაცდომას უყურადღებოდ არ დატოვებს. სამწუხაროდ, საპრეზიდენტო არჩევნებში ნინო ბურჯანაძე აბსოლუტურად საპირისპიროდ მოიქცა — უკანაც დაიხია, გაჩუმდა კიდეც და, ფაქტობრივად, მაშინდელი საპრეზიდენტო არჩევნები „გააპრავა“, ამიტომ ვამბობ, საარჩევნო კოდექსში ცვლილებები, ამომრჩეველთა სიების დაზუსტება, ფაქტობრივად, უკვე დაწყებული წინასაარჩევნო კამპანიაც ფუჭი იქნება, თუ მთავარი ვერ მოხერხდება და ყველა ძალა ერთად არ დადგება.

— სანამ ოპოზიცია საერთო პოზიციაზე შეჯერდება, დავით ნარმანიას არათბილისელობაზე თქვენი განცხადება საზოგადოების ნაწილმა მეგრელების წინააღმდეგ აგორებულ კამპანიად ჩათვალა. მეგრელებს რას ერჩით?

— ჩემი განცხადება ერთადერთმა ადამიანმა, ზაურ ნაჭყებიამ გაიგო არასწორად, არადა ამ ადამიანთან წლების განმავლობაში ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა. მან იმდენად პროვოკაციული შინაარსის წერილი დაწერა, რომ ჩვენი ურთიერთობის ელემენტარულ დონეზე აღსადგენად, როგორც მინიმუმ, ბოდიში უნდა მოიხადოს. სამწუხაროდ, საზოგადოების მცირე რაოდენობისთვის აღნიშნული სტატია ერთგვარი სტიმული აღმოჩნდა და ბინძური თემით ჩემ წინააღმდეგ სპეკულირებაც დაიწყო. როგორც ჩანს, ზაურ ნაჭყებიამ ბოლომდე ვერ გააცნობიერა ის საფრთხეები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო. სოციალურ ქსელში განვაცხადე, თბილისის მერის არჩევნებში დავით ნარმანიასთვის ნიკა მელიას დაპირისპირება, „ოცნებისა“ და ნაციონალების ერთობლივი ნამუშევარია-მეთქი და აი, რატომ: ნარმანია თბილისს არ უნდა და, თუ საზოგადოების ნაწილი მაინც მისცემს ხმას, მხოლოდ იმის შიშით, რომ „ნაცმა“ კანდიდატმა არ მოიგოს, ან, შესაძლოა, ივანიშვილის ხათრით... მელია კი, ნარმანიასგან განსხვავებით, თბილისელია, თან იგივე კუთხის წარმომადგენელი, რითაც ძალიან არასწორად სპეკულირებენ როგორც ორივე კანდიდატის მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები. დავით ნარმანიას პლუსი ისაა, რომ ნაციონალი არ არის, მინუსი — თბილისელი არ არის და ამ შემთხვევაში დაბადების ადგილზე არ ვსაუბრობ, მგონი, ეს ყველასთვის გასაგები უნდა იყოს. მელიას პლუსი — ის თბილისელია, მაგრამ ნაციონალია. პირადად მე, ნარმანიას, თბილისში ხოხობთან ერთადაც რომ იყოს ჩამოფრენილი, ბევრი მიზეზის გამო, მხარს არ ვუჭერ. პირველ რიგში კი იმის გამო, რომ მისი ოჯახის მთავარმა წევრმა – დედამ, აფხაზეთის დაკარგვაში თბილისელები დაადანაშაულა. ფაქტია, ეს ოჯახის პოზიციაა და ჩემთვის სრულიად საკმარისია მხოლოდ ეს ერთი მიზეზი, რატომაც დავით ნარმანიას მერობა არ შეიძლება. როცა ვინმეს ან რამეს დამნაშავედ მიიჩნევ, ის არ გიყვარს, ან ნაკლებად გიყვარს, ქალაქის მერობა ყოვლად დაუშვებელია.

— ზაურ ნაჭყებიამ ქვეტექსტები სწორედ ამ განცხადებაში ამოიკითხა...

— ერთმა ნაჭყებიამ ჩემი განცხადება არასწორად გაიგო. რა შუაშია, წარმოშობით ვინ რომელი კუთხიდანაა?! ისე, ნაჭყებიას მიულოცეთ, ბევრმა მისი გვარი სწორედ ჩემი განცხადების შემდეგ გაიგო. გაოგნებული ვარ... თუ მართლაც არ ცრუობს და მხოლოდ მისმა ბრძენმა თვალმა შეძლო ქვეტექსტების ამოკითხვა, სტატიის გასაჯაროებამდე რატომ არ დამირეკა და დამელაპარაკა?! თანაც განცხადება ნაციონალების კანდიდატზეც გავაკეთე და აღვნიშნე, რომ ის თავისი მსოფლმხედველობითა და იდეოლოგიით ნაციონალია, შესაბამისად, ცნობა მისი დაბადების ადგილის შესახებ, ჩემთვის არაფერს ნიშნავს. თბილისელობა, როგორც მერობის პირობა, ჩემთვის და ალბათ, ბევრისთვის მაინცდამაინც დაბადების მოწმობით არ განისაზღვრება. მითუმეტეს, დედაქალაქის მერი, მეურნესთან ერთად, გვინდა ჩვენ ეს თუ არა, პოლიტიკური ფიგურა ხდება, ამიტომაც ნიკა მელიას კანდიდატურა ჩემთვის და არა მხოლოდ ჩემთვის, მიუღებელია.

> **ზოგადად, „მეოცნებეთა“ და ნაციონალების გათვლა მარტივია – როგორც გითხარით, უკვე ნაცადი საპრეზიდენტო არჩევნების სცენარით პირველ-მეორე ადგილების გაყოფა სურთ, თანაც არა მხოლოდ თბილისში, რეგიონებშიც. მოსახლეობას კი, ორივე პოლიტიკური ძალა, ფაქტობრივად, არჩევანის გარეშე ტოვებს. თუ ეს მდგომარეობა შენარჩუნდა, მერწმუნეთ, არჩევნებში დიდი ნაწილი მონაწილეობას საერთოდ არ მიიღებს.**

ამ შემთხვევაში ნაციონალებს არ ვგულისხმობ, ისინი სრულ მობილიზაციას გამოაცხადებენ. რაც შეეხება დავით ნარმანიას, მას თავისიანად არც „ოცნებაში“ და არც მის მიღმა დიდი ნაწილი არ მიიჩნევს. ასე რომ, როგორ გაიყოფა პირველ-მეორე ადგილები, ჯერ კიდევ საკითხავია. ამ კატასტროფის თავიდან აცილება მხოლოდ ერთობას შეუძლია, რადგან გამარჯვების ასეთი შანსი ჯერ არ ყოფილა. მთავარია ერთ, ღირსეულ კანდიდატზე შევთანხმდეთ! აქ კი რა ხდება – ყველა საკუთარი პარტიული კანდიდატურის დასასახელებლად ემზადება, თან ზუსტად იცის, რომ ვერ მოიგებს.

> **ერთი რამე ვიცოდეთ: თუ ოპოზიცია ისევ ცალკ-ცალკე მასხარებად გაკანდიდატდება, როგორც ეს საპრეზიდენტო არჩევნებში მოხდა, „ოცნებასა“ და ნაციონალებთან ერთად პასუხს აგებენ ის ადამიანები, რომლებსაც მდგომარეობის სასიკეთოდ შემობრუნება შეეძლოთ და არ გააკეთეს.**

„გუდვილის“ დამფუძნებელი გოგი შევარდნაძე დუმილს არღვევს და ყველა ბრალდებას პასუხობს!

მე-6 გვერდიდან

თან ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ცენტრსა და რეგიონს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო, აჭარიდან ცენტრალურ ბიუჯეტში თანხები არ ირიცხებოდა და ბუმიც ამის გამო იყო ატეხილი. თუმცა სარფის საბაჟოს აჭარის ბიუჯეტში თანხა რეგულარულად შეჰქონდა, ამის შემდეგ რა პროცესები მიდიოდა, ანუ რეგიონი ცენტრალურ ბიუჯეტში რიცხავდა თუ არა თანხას, ეს უკვე ჩემზე აღარ იყო დამოკიდებული.

— ბრალს იმაშიც გდებდნენ, რომ როდესაც სარფის საბაჟოს ხელმძღვანელობდით, სწორედ ის აჭარელი მეწარმეები დაჩაგრეთ, რომლებიც იმპორტზე არ მუშაობდნენ...

— არა, გამორიცხულია, რადგან თურქეთში ვერავინ შეიტანდა საქონელს, პირიქით, თურქეთს აქეთ შემოჰქონდა ტვირთი. საერთოდ, სარფის საბაჟოსთან დაკავშირებული ნებისმიერი თემა მოგონილია, ეს ჭორები კი ისევ პოლიტიკოსებმა ააგორეს, რადგან ცენტრსა და რეგიონს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო.

— ასლან აბაშიძესთან კარგი ურთიერთობა გქონდათ?

— ნორმალური ურთიერთობა მქონდა, რადგან ის რეგიონის ხელმძღვანელი იყო და მე, როგორც სარფის საბაჟოს უფროსი, მის დაქვემდებარებაში ვმუშაობდი.

— ედუარდ შევარდნაძესთან დაპირისპირების ფონზე, სარფის საბაჟოს უფროსად გოგი შევარდნაძის დანიშვნა კარგად გათვლილი პიარსვლა იყო?

— რა ჩემი ბრალია, რომ გვარად შევარდნაძე ვარ? სხვათა შორის, ასლან აბაშიძემ ბევრი კარგიც გააკეთა, რადგან აჭარა „მხედრიონის“ თარეშისგან იხსნა.

— ბატონო გოგი, სააკაშვილის პრეზიდენტობის პირობებში, თქვენი წარსულის მქონე ადამიანი დაჭერას როგორ გადაურჩით?

— სარფის საბაჟოდან 2001 წელს წამოვედი, „ვარდების რევოლუცია“ კი 2003 წლის 23 ნოემბერს მოხდა. იმ დროს უკვე აღარ ვმუშაობდი და რატომ უნდა დავეჭირე? თანაც სარფის საბაჟოს უკვე სხვა ხელმძღვანელი ჰყავდა. 2004 წლიდან კი „გუდვილის“ პროექტი განვახორციელე.

— ბრიტანულ კომპანია „აი ტი ეს“-ს, რომელსაც სარფის საბაჟოს მართვაში უნდოდა შემოსვლა, წინააღმდეგობა თქვენ გაუწიეთ, მაგრამ მიზეზი რა იყო?

— სხვათა შორის, ამის საფუძველზე, ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამათავისუფლა კიდეც თანამდებობიდან. „აი ტი ეს“-ი მოგონილი კომპანია იყო, რომელიც შევარდნაძის პრეზიდენტობისას ჩამოიყვანეს. მას საზღვარგარეთიდან შემოსული ტვირთები უნდა გაეკონტროლებინა. ამ კომპანიის სახით, ძალიან დიდი ბიუროკრატიული სისტემა შექმნეს და, პრაქტიკულად, საკმაოდ სოლიდური ფულიც გააკეთებინეს. ცენტრალური ხელისუფლების დადგენილების საფუძველზე შემოვიდნენ ისინი სარფის საბაჟოზე, მაგრამ მე რა უფლება მქონდა, მათთვის წინააღმდეგობა გამეწია? აჭარის ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ეს არასწორი გადაწყვეტილება იყო, რაც ბიზნესის განვითარებას ხელს უშლიდა, საქონელს აძვირებდა და ამიტომაც გაუწიეს წინააღმდეგობა. შემდეგ, ისევ ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით, „აი ტი ეს“-ის წარმომადგენლები არა სარფის საბაჟოზე, არამედ — გურიის საზღვარზე, ჩოლოქზე დასვეს. სარფის საბაჟოზე განბაჟებულ ტვირთს ჩოლოქზეც ისინი ამოწმებდნენ. თუმცა ედუარდ შევარდნაძის დავალებით, სარფის საბაჟოდან მაინც გამათავისუფლეს, მაგრამ ასლან აბაშიძემ ისევ საბაჟოს უფროსად დამნიშნა.

— „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, ავეჯის სავაჭრო სახლის „საბას“ დამფუძნებელი, ომარ კაჭარავა აცხადებს, რომ მისი კუთვნილი საწარმო, მიხეილ სააკაშვილმა პირდაპირი მიყიდვის წესით, თქვენ მოგყიდათ, სადაც „მარშეს“ წარმოება შექმენით. კაჭარავამ სარჩელი უკვე შეიტანა...

— ომარ კაჭარავას ვურჩევ, გულში ჩაიხედოს და ისე თქვას, რა ფასად შეიძინა უზარმაზარი წარმოება. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, ეს ქონება კაპიკებში ჩაიგდო ხელში, მაგრამ ამას თავი დავანებოთ, ღმერთმა შეარგოს! როდესაც საგადასახადო ინსპექტორებმა „საბა“ დააჯარიმეს და ქონება დაუყადაღეს, კაჭარავას კუთვნილი საწარმო ეკონომიკის სამინისტროს გადასცეს. ამ ამბიდან ანუ ქონების დაყადაღებიდან ოთხი წლის შემდეგ, ეკონომიკის სამინისტრომ აუქციონი გამოაცხადა და, შესაბამისად, ჩვენც სწორედ ოთხი წლის შემდეგ შევიძინეთ ეს საწარმო, სადაც „მარშეს“ წარმოება გავხსენით. არც იმას გამოვრიცხავ, რომ, შესაძლოა, „საბა“ სულაც უკანონოდ დააჯარიმეს, რადგან, როგორც გითხარით, წინა ხელისუფლების პირობებში, ბიზნესს ატერორებდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ ომარ კაჭარავასთან არავითარი კავშირი არ მქონია. გამოვთქვით სურვილი, რომ 500 კაცს დავასაქმებდით და ახალ საწარმოში რამდენიმე მილიონი ლარის ინვესტიციას ჩავდებდით, როგორც ჩანს, ეკონომიკის სამინისტროსთვის ჩვენი პირობები მისაღები აღმოჩნდა, ქონება აუქციონზე შევიძინეთ და პირობა ერთ წელიწადში შევასრულეთ. დღეს, „მარშეს“ საწარმოში 500 კაცია დასაქმებული, რომელსაც ISO-ს სერტიფიკატი აქვს მინიჭებული.

საზოგადოება

მეხანძრე-მაშველები მერიასთან აქციას აგრძელებენ

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

თბილისის მერიის შენობის მოპირდაპირე მხარეს, გაფიცულმა მეხანძრე-მაშველებმა ორი კარავი გაშალეს. ისინი საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს უფროსის, თემურ გიორგაძისა და მისი დისშვილის, სააგენტოს ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილების უფროსის, ლევან ჩხიკვაძის თანამდებობიდან გადადგომას ითხოვენ. მაშველების განცხადებით, თემურ გიორგაძე კრიმინალია, პერიოდულად სამსახურში ზონდერების გადამზადება ხდებოდა, რომ მიტინგები დაეშალათ.

პროტესტანტები მერის მოვალეობის შემსრულებელთან შეხვედრასაც ითხოვენ, თანხმობის შემთხვევაში კი, ისინი სევდია უგრეხელიძეს იმ დოკუმენტაციას გადასცემენ, სადაც, მათივე მტკიცებით, გიორგაძის მიერ თანამშრომელთა უფლებების დარღვევის ფაქტებია ასახული. მეხანძრე-მაშველების თქმით, თემურ გიორგაძე საკუთარ აგარაკებს, სახლსა და სავაჭრო ცენტრს აშენებინებდა და სამსახურში ნეპოტიზმი ყვაოდა. როგორც აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, მორიგე ცვლის უფროსმა **გიორგი დიასამიძემ** განაცხადა, პირადად იმუშავა თემურ გიორგაძის აგარაკზე და ამ ფაქტების შესახებ თბილისის მერიამ იცის: **„აქ ვინც ვართ, 20-25 მონაწილეს, ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები შეგვექმნა. რაც დაავადება არსებობს, კუჭთან დაკავშირებული, ყველაფერი მაქვს და უმრავლესობაც ასეა. ჯანმრთელობა გვჭირდება, რომ ვიბრძოლოთ. კარვები დარჩება სააგენტოსთან და მერიასთანაც გავშალეთ. ეს აქციები, არჩევნებამდეც გაგრძელდება და არჩევნების შემდეგაც, სანამ კრიმინალი გიორგაძე არ დატოვებს თანამდებობას. თუ უნდა მერიას, წინასაარჩევნო პერიოდი შესწიროს ამ კორუმპირებულ ადამიანს, მზად ვართ, ჯანმრთელობის ფასად, ვიბრძოლოთ. მერიას, რა განცხადებაც უნდა, ის გაავრცელოს, ჩვენ მოვითხოვთ გიორგაძის გადადგომას, რომელმაც ბიუჯეტი პირადი კეთილდღეობისთვის გამოიყენა“.** გაფიცულები აცხადებენ, რომ მათი ნაწილი აქციას აგრძელებს მერიის საგანგებო და გადაუდებელი მართვის სააგენტოსთან, ნაწილი კი მერიის მოპირდაპირე მხარეს გადაინაცვლებს და ყოველ დილით სირცხვილის კორიდორს მოუწყობენ მერიის თანამშრომლებს. მათივე თქმით, პერიოდულად შიმშილობის აქციაში დაახლოებით 30-მდე მეხანძრე-მაშველი მონაწილეობდა, თუმცა შიმშილობას არანაირი შედეგი არ გამოუღია და მხოლოდ მათი ჯანმრთელობა დააზიანა. გაფიცვის დაწყებიდან უკვე თვეზე მეტი გავიდა. მეხანძრე-მაშველები ამ აქციის გაგრძელებას თვითმმართველობის არჩევნებამდე აპირებენ.

აქციას თბილისის მერია გამოეხმაურა. როგორც საგანგებო და გადაუდებელ სიტუაციათა მართვის სააგენტო უფროსი კობა ბრეგვაძე აცხადებს, შექმნილია ჯგუფი მაშველებთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად. სააგენტოს ხელმძღვანელობა გაფიცულებს სთავაზობს, სასამართლოს გზით აღიდგინონ სამსახურში თავი. კობა ბრეგვაძის თქმით, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ რომელიმე მაშველი უსამართლოდ იყო გათავისუფლებული და სამსახურში აღდგენას მოითხოვს, სააგენტოს ხელმძღვანელობა სასამართლო ინსტანციაში არ გაასაჩივრებს და იგი სამსახურში დაბრუნდება; ასევე მიმართეს იმ პირებსაც, რომლებიც საკუთარი განცხადების საფუძველზე წავიდნენ სააგენტოდან. კობა ბრეგვაძის განცხადებით, მათ შეუძლიათ ხელმეორედ გაიარონ გადამზადება, ჩააბარონ ნორმატივები და სამსახურში აღადგენენ.

ტრანსპორტის პროფკავშირის ხელმძღვანელმა, ლავრენტი ალანიამ გაფიცულ მეხანძრე-მაშველებს მხარდაჭერა გამოუცხადა და აღნიშნა, რომ სააგენტოს მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი დაცინვაა, რეალურად, არ იმუშავებს, ამიტომაც მერიის წინ აქცია კვლავ გაგრძელდება: **„ძალიან საინტერესოა, რატომ ებღაუჭება ეს ადამიანი ამ თანამდებობას. თუ მართალია, გამოვიდეს დადოს დოკუმენტები, რომ ეს არასწორია. არც ერთი მეხანძრე მისი მონა არ არის. აქედან გამომდინარე, თუ მართალია, უფლებამოსილება შეიჩეროს და სასამართლოში იდავოს. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, რომ მოხდეს მისი უპირობო გადადგომა... ესაა ცრუპენტელა ადამიანი, რომელიც სხვადასხვა პარტიასაა ამოფარებული. პროფკავშირები არ შეეგუება ამას. ვთხოვ ყველას, გააგებინონ ამ ყრუ გიორგაძეს, რომ წასასვლელია“.**

„აქციები არჩევნების შემდეგაც გაგრძელდება, სანამ კრიმინალი გიორგაძე არ დატოვებს თანამდებობას“

საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა თემურ გიორგაძემ მოშიმშილე მეხანძრე-მაშველების პრეტენზიებს უპასუხა, რომლებიც მის გადადგომას მოითხოვენ. იგი უარყოფს ბრალდებას გამოძახებაზე გასვლის საგზურებთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ გიორგაძეს სამსახურის თანამშრომლები, სპეციალური დავალებით, საკუთარ აგარაკზე მიჰყავდა და სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებინებდა: **„აგარაკი 99 წელსაა ნაყიდი, რა მშენებლობა, აშენებული ვიყიდე. საგურამოში კი არა, რაც ჩვენ გასვლები გვაქვს, ბორჯომშიც კი ჩავსულვართ. როცა არ ჰყოფნით ძალა, ვეხმარებით“.** გიორგაძე ასევე უარყოფს მეხანძრე-მაშველთა პირველადი პროფკავშირების ორგანიზაციის უფროსის მოადგილის, ლევან როსტომაშვილის ბრალდებასაც, რომლის მიხედვითაც, გიორგაძის დისშვილი პრემიას აწერდა და თვითონ იღებდა: **„მივიდეს და დაამტკიცოს. ასე მეც ვიტყვი, რომ ფული გამომძალა. არ არსებობს ასეთი რაღაც. ორი წლის უკან თუ მოხდა რაღაც, მაშინ სად იყო. მიმართონ შესაბამის სამსახურს, აუცილებლად შევიტან სარჩელს სასამართლოში, თუ დაფიქსირდება, რომ მათ ოფიციალურად მიმართეს საგამოძიებო ორგანოს. მაგათ ლაპარაკს არ ვუსმენ, მაგათ ჭკუაზე არ დავდივარ“.**

აქციის მონაწილეების თქმით კი, თემურ გიორგაძე სახელმწიფო ქონებას საკუთარი ინტერესებისთვის ხარჯავდა, კარავზე კი გამოაკრეს გამოძახებაზე გასვლის საგზურის ასლები, რომლის მიხედვითაც, მეხანძრე მაშველები სპეცდავალებით საგურამოში არიან გასულები.

განათლება

სამი სიახლე, რომელიც აბიტურიენტებს საგამოცდო ცენტრებში დახვდებათ

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

ინფორმაცია, რომ 2014 წლიდან საქართველოში ერთიანი ეროვნული გამოცდები გაუქმდებოდა, არ დადასტურდა. ეგაა ოღონდ, საგამოცდო ცენტრები აბიტურიენტებს წელს ახალი წესებით უმასპინძლებს, რომელთა შესახებაც „ვერსიას“ გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი ესაუბრა.

— ერთიან ეროვნულ გამოცდებში სამი ცვლილებაა: ერთი არჩევითი საგნების ნუსხაში სახვითი და დამატებითი ხელოვნების შეტანას ეხება, რაც ძალიან კარგია, რადგან ეს საგნები სკოლებში სავალდებულოა და უმაღლესი სასწავლებლებისთვის, რომელთაც ისეთი მიმართულებები თუ პროგრამები აქვთ, სადაც ხელოვნების გამოცდის მოთხოვნა ისტორია-გეოგრაფიაზე უფრო რელევანტურია, ეს შეთავაზება დავუშვით; მეორე სიახლე — უცხო ენაში მოსმენის ნაწილი დაემატა. არსებული რეალობის გათვალისწინებით, კომპეტენციის ზღვარი ყველაზე დაბალი უცხო ენის გამოცდაზეა, რაც შენარჩუნებულია და შიში, რომ აბიტურიენტებისთვის ზღვრის გადალახვა რთული იქნება, ახლაც არსებობს, მაგრამ გაუმართლებელი იქნებოდა, გამოცდის ტესტი არ სრულგვეყო. საერთოდ, 4 მნიშვნელოვანი კომპეტენცია — წერა, კითხვა, მოსმენა და ლაპარაკი — არსებობს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ყველა კომპეტენციას გამოცდაზე თანაბარი წონა აქვს. აქამდე გამოცდებზე მხოლოდ ორ ტენდენციას — წერასა და კითხვას ვამოწმებდით.

— გაისად საგამოცდო ტესტებში ე.წ. ლაპარაკის კომპეტენციაც შევა?

— ამაზე, ჯერჯერობით, არ ვფიქრობთ... წელს მოსმენის ნაწილი მინიმალური დოზით შევიტანეთ და, რადგან პირველი წელია, საგამოცდო ტესტებში მხოლოდ 8 პროცენტი ეთმობა, შესაბამისად, მასალაც იმაზე მარტივი იქნება, ვიდრე სახელმძღვანელოებშია. სკოლებს ვალდებულება აქვთ, სამომავლოდ, მოსწავლეები ამ მიმართულებით ავარჯიშონ.

მესამე სიახლე ბარიერის დადგენაა, რომელიც არა ე.წ. ნედლი, არამედ გაიგივებული ქულით მოხდება. წლების განმავლობაში გვქონდა მცდელობა, გამოცდებზე შედარებით რეალური ბარიერი დაგვეწესებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, აქამდე ვერ მოხერხდა. იმ საგამოცდო ტესტებში, სადაც მხოლოდ არჩევითი პასუხების დავალებები გვაქვს, ოთხი სავარაუდოდან ბრმად შემოხაზვისას, სწორი პასუხის არჩევის ალბათობა 25 პროცენტია, სწორედ ამ 25 პროცენტს ემთხვეოდა კომპეტენციის მინიმალური ზღვარი და, აქედან გამომდინარე, იძულებულნი ვიყავით, შედეგები ზუსტად ერთ ქულაზე გადაგვეჭრა — მაგალითად, ზოგადი უნარების ტესტში 21 ქულა იყო გამსვლელი, ყველა აბიტურიენტი, ვინც 20 ან ნაკლებ ქულას აიღებდა, ჩაჭრილად ითვლებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ ვიყენებდით სკალირების მეთოდს, რომლის პირველი ეტაპი ქულების გაიგივება გახლავთ. ზოგადი უნარების გამოცდაზე კომპეტენციის ზღვარი 3 ქულითაა აწეული, სამაგიეროდ, ბარიერი დადგინდება გაიგივებული ქულით, რაც იმას ნიშნავს, რომ 24 ქულა, ყველა შემთხვევაში, გამსვლელი იქნება, უბრალოდ, ის აბიტურიენტები, რომლებსაც შედარებით რთული ვარიანტი შეხვდებათ და 24-ის ნაცვლად, 23 ქულას მიიღებენ, ჩაჭრილებად აღარ ჩაითვლებიან და კონკურსში მონაწილეობას განაგრძობენ. სხვა გამოცდების შემთხვევაში, ბარიერი აწეული არ არის იმიტომ, რომ არჩევითპასუხიან დავალებებთან ერთად, ღია დავალებებიც გვაქვს და ბარიერის აწევა საჭირო არ იყო. მოკლედ, ქართულ ენასა და ლიტერატურაში 21 ქულა უცვლელია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა, კონკურსში მონაწილეობა 20-ქულიანმა აბიტურიენტებმაც განაგრძონ.

— ამ ცვლილებების შესახებ აბიტურიენტებმა როდის შეიტყვეს?

— 2013 წლის შემოდგომიდან აქტიურად ვსაუბრობთ, რომ ცვლილებები იგეგმება, რაც იანვარში ოფიციალურად დამტკიცდა და ეს ყველა დაინტერესებული პირისთვის ცნობილი იყო.

— იქნება თუ არა რამე შეღავათი განსაკუთრებული შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული აბიტურიენტებისთვის?

— მხოლოდ კომპეტენციის მინიმალური ზღვარი უნდა გადალახონ. მათ ჩასაბარებელი აქვთ შემოქმედებითი ტურიც და ჩვენთან მონაწილეობას მხოლოდ ჩათვლის პრინციპით მიიღებენ.

— აბიტურიენტები ამბობენ, რომ სპეციფიკური პასტები ფურცლებს სვრის, ასევე უჩივიან ზედმეტად მზიან აუდიტორიებს. საგამოცდო გარემოს შეცვლას ხომ არ გეგმავთ?

— დიდი სურვილი მაქვს, ყველა საგამოცდო ცენტრში კონდიციონერი დავამონტაჟოთ და ყველგან ევრორემონტი გავაკეთოთ, მაგრამ საქართველოს მასშტაბით 800-ზე მეტი სექტორი გვაქვს. თუ აუდიტორია მზიანია, ფარდები გვაქვს შეძენილი, მაქსიმალურად ვცდილობთ, შენობა შესაძლებლობის ფარგლებში მოვამზადოთ და აბიტურიენტებზე გარეფაქტორებმა ნაკლებად იმოქმედოს.

რაც შეეხება იმას, რომ ვთქვათ, აბიტურიენტს კალამი დაეღუნა, სარეზერვოდ ძალიან ბევრი კალამი გვაქვს, ხოლო თუ პასუხების ფურცელი დასვრილია, მაგრამ პასუხი გაცემულია, ეს პრობლემას არ შეუქმნის, თუ პრობლემა პასუხის გაცემისას შეექმნა, ფურცელს გამოუცვლიან... ეს ყველაფერი სერიოზულ პრეტენზიად არ მიმაჩნია.

„დღეს რუსეთი არღვევს ყველა ხელშეკრულებას, რომელზეც ადრე ხელი აქვს მოწერილი!“



მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ყირიმის რეფერენდუმის კომისიის თავმჯდომარე მიხაილ მალიშევი აცხადებს, რომ ავტონომიის სტატუსის თაობაზე გამართულ რეფერენდუმში, ამომრჩეველთა თითქმის 96%-მა რუსეთთან შეერთებას მისცა ხმა. მალიშევის თქმით, რეფერენდუმში მონაწილეთა 3%-მა მხარი არ დაუჭირა ყირიმის რუსეთთან მიერთებას, ბიულეტენების 1% კი კომისიამ ბათილად სცნო. ამასთან, რეფერენდუმს ოფიციალური კიევი, აშშ, ევროკავშირი, გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები არ აღიარებენ. ახლა ჯერი რუსეთის გადაწყვეტილებაზეა, რომელსაც დასავლეთი სანქციების გამკაცრებით ემუქრება. რუსულ-უკრაინულ ფრონტზე არსებულ ვითარებასა და მოსალოდნელ შედეგებზე, „ვერსია“ ყოფილ პრემიერ-მინისტრს, თენგიზ სიგუას ესაუბრება.

– ბატონო თენგიზ, რამდენად მოსალოდნელია დაძაბული პროცესების სამხედრო ესკალაცია?

– ნაკლებად სავარაუდოა, რადგან დასავლეთმა ძალიან მკაცრი პოზიცია დაიკავა. რუსეთმა გაერო-ს რეზოლუცია დაბლოკა, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. სოჭში დიდი რვიანის შეხვედრა უნდა ჩატარებულიყო და უკვე ლონდონში გადააქვთ. მერე, ძალიან დიდი ოდენობის რუსული კაპიტალი დასავლეთის ბანკებშია, საუბარია მის გაყინვაზე, რაც კრემლისთვის მძიმე დარტყმა იქნება, ამიტომ, ჩემი აზრით, მოსკოვი ყირიმში ჯარს ღია სამხედრო მოქმედებებში ვერ გამოიყენებს, მაგრამ უკრაინაც ნაწილობრივ დათმობაზე უნდა წავიდეს, გააფართოოს ყირიმის ავტონომიის უფლებები.

– ე.წ. რეფერენდუმის შემდეგ, რუსეთის დუმისგან რა გადაწყვეტილებებს შეიძლება ველოდეთ?

– რუსების დიდი ნაწილი პუტინის პოზიციას მხარს უჭერს, კულტურის მოღვაწეთა პრეზიდენტის მხარდამჭერების ხელმოწერები არ წყდება, ამიტომ მას, სხვა თუ არაფერი, იძულებულს გახდიან, გადადგას ნაბიჯი და ყირიმი რუსეთის ფედერაციის ნაწილად გამოაცხადოს, მაგრამ ამას თავად მოსკოვისთვის ძალიან ცუდი ამბები მოყვება – ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდება და მძიმე ვითარებაში ჩავარდება.

– ეკონომიკურ ფაქტორს გულისხმობთ?

– უპირველესად – პოლიტიკურს, სრული იზოლაცია იქნება. დიდი რვიანიდან გარიცხვის საკითხი დგას, რომ არც ერთ კონფერენციაზე არ მიიწვიონ, ასამდე მაღალი დონის ჩინოვნიკი, ევროპასა და ამერიკაში პერსონა ნონ გრატად გამოცხადდეს, ეს სერიოზული დარტყმაა, მაგრამ პუტინი თავიდანვე არასწორად იქცეოდა – საკითხი დააყენა, რომ ფედერაციის საბჭოს მისთვის უფლება მიეცა, ყირიმში ჯარები შეეყვანა... ეს მისი მხრიდან დიდი შეცდომა იყო; მეორე მხრივ, ყირიმის მოსახლეობის 50% რუსები, 30% ყირიმელი თათრები და 20% უკრაინელებია, ამიტომ საეჭვო არაფერი იყო, რომ რეფერენდუმში რუსები გაიმარჯვებდნენ. უკვე 12 საათისთვის ამომრჩევლის 50%-ზე მეტი მივიდა საარჩევნო ყუთთან, როცა ამ დროს, ნორმალურ ქვეყნებში არჩევნების დროს 20%-იც არ არის მისული ხმის მისაცემად. ე.ი რუსებმა მაგარი მობილიზაცია მოახდინეს.

– მაგრამ რა სამართლებრივ-პოლიტიკური შედეგი აქვს ამას საერთაშორისო თანამეგობრობისთვის?

– არანაირი, აშშ და ევროკავშირი არ ცნობენ აღნიშნული რეფერენდუმის შედეგებს.

– რა შედეგები ექნება ეკონომიკურ სანქციებს რუსეთთან მიმართებაში?

– თუ მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები შეზღუდეს ან შეწყვიტეს, რუსეთს გაუჭირდება. მას მთავარი შემოსავალი ენერგორესურსების გაყიდვით აქვს, საგარეო ვაჭრობის 75% სწორედ ენერგორესურსებზე მოდის. ვინც ღრმად ჩახედავს, რუსეთი ძლიერ სახელმწიფოთა სიაში ვერ მოხვდება, მაშინ ექსპორტში უნდა ჰქონდეს მანქანათმშენებლობის, ტექნიკური ნაწარმი – მანქანა, დანადგარი, თვითმფრინავი, ამწეები და ა.შ. ქვეყანას ეს მაჩვენებელი მხოლოდ 5% აქვს, 80-ე ადგილზეა მსოფლიოში, აფრიკის ბევრი ქვეყანაც კი ასწრებს. ევროპის წამყვან ქვეყნებს, ისეთებს, როგორიცაა ბელგია, დანია, ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და ა.შ. არც ერთს ექსპორტში 40%–ზე ნაკლები ტექნოლოგიური ნაწარმი არ აქვს. ვინც ამას ნახავს, მიხვდება, რომ რუსეთი დღეს იმით ცხოვრობს, რომ დიდი რაოდენობით ნავთობი და გაზი აქვს. თუ ევროპამ მისი ყიდვა შეამცირა, სხვა სურათი იქნება. ამასთან ძალიან ბევრ ქვეყანაში ე.წ. ფიქლის გაზი აღმოჩნდა, ამერიკელებმაც გაზარდეს მისი მოპოვება. უახლოეს წლებში ეს ძალიან შეცვლის მსოფლიო ბაზარზე ენერგომატარებლების გაყიდვის პოლიტიკას. ამერიკელებმა ნავთობის მარაგიც გახსნეს და რეზერვის 5% ბაზარზეც გამოიტანეს.

– ყირიმში დაპირისპირების ფონზე, საქართველოს ადგილი და როლი რაში მდგომარეობს?

– რასაკვირველია, უკრაინის მხარე უნდა დავიჭიროთ. რუსეთის ასეთი თავხედური გამოხტომები უნდა შეწყდეს, თორემ ხვალ და ზეგ, ისევ ჩვენც მოგვიბრუნდებიან. საქართველოსა და უკრაინის დაკარგვა რუსეთისთვის შავი ზღვის დაკარგვას უტოლდება. ეს ნაციონალისტი რუსების სულში ზის – „ჩორნოე მორე, ეტო როსსისკოე მორე“, – სულ ამას ამბობდნენ. აფხაზეთი თუ დავიბრუნეთ და ყირიმი დაკარგეს, ძალიან პატარა ე.წ პერეშეიკა რჩებათ, ანუ შავი ზღვის ფლოტი, პრაქტიკულად, დაკარგული აქვთ. ეს მოსკოვისთვის დიდი დარტყმაა, ამიტომ რუსი ნაციონალისტების ნაწილობრივ მესმის, რადგან სამი საუკუნე რომანოვები იმპერიას აკონიწებდნენ და ბოლო ოც წელიწადში ეს იმპერია მთლიანად გაქრა. ახლა, შავი ზღვის დაკარგვა, მათთვის დიდი თავისტკივილი იქნება. ამას მერე ჩრდილოეთ კავკასიის დაკარგვა მოჰყვება, იქაც ხომ პერმანენტულად რთული მდგომარეობაა, რეგიონს ვერაფრით აწყნარებენ. ამ ფონზე, შავი ზღვის დაკარგვა მათთვის ტრაგედიაა, მესმის, მაგრამ რა ვიზამთ...

დღეს რუსეთი არღვევს ყველა ხელშეკრულებას, რომელზეც ადრე ხელი აქვს მოწერილი. სსრკ-ს დაშლის შემდეგ, 1998 წელს დიდი სახელმწიფოების ხუთეული შეიკრიბა რუსეთის ჩათვლით, ხელი მოაწერეს იმას, თუ უკრაინამ უარი თქვა ატომურ იარაღზე და თავისი ტერიტორიიდან გაიტანა, მისი ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია. ამას გარდა, როდესაც გაერო წევრად ღებულობს ქვეყანას, მისი საზღვრები ხელშეუხებელია. რუსებმა ეს ყველაფერი გვერდზე გადადეს, გამოიყენეს, რომ იანუკოვიჩთან დაკავშირებით კიევში ცოტა არეულობა იყო და ყირიმის დათრევა უნდათ. კიდევ ხარკოვსა და დონეცკის ოლქზეა საუბარი, რაც გამორიცხულია. მათთვის უმთავრესი ყირიმია, რადგან რუსეთის შავი ზღვის მთელი ფლოტი ყირიმშია თავმოყრილი, სევასტოპოლში.

ჟურნალისტი დმიტრი კისილიოვი ამერიკას ბირთვული ომით დაემუქრა

Россия-1 გადაცემაში Вести недели-ს ჟურნალისტმა დმიტრი კისილიოვმა მაყურებლებს რუსეთსა და აშშ-ს შორის ბირთვული ომის შესაძლებლობა შეახსენა.

„რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც შეუძლია, აშშ რადიოაქტიურ ფერფლად აქციოს“, — განაცხადა ჟურნალისტმა, რომელიც ყირიმში რუსეთის ქმედებების გამო დასავლეთის ქვეყნების მხრიდან შესაძლო სანქციებზე საუბრობდა.

რუსეთისა და აშშ-ს გარდა, ბირთვული იარაღი აქვს დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ჩინეთს, ინდოეთსა და პაკისტანს. არ არის დაზუსტებული, აქვთ თუ არა ბირთვული იარაღი ჩრდილოეთ კორეასა და ისრაელს. დმიტრი კისილიოვი საინფორმაციო სააგენტოს Россия сегодня (ყოფილი რია-ნოვოსტი) გენერალური დირექტორია და ევროკავშირის მიერ შედგენილ „შავ სიაში“ მოხვდა.

„აფხაზეთის ხმა“

ჟირინოვსკი: „აზერბაიჯანელი — ეს რა, ეროვნებაა?“

„აზერბაიჯანელი — ასეთი ეროვნება არ არსებობს“, — განაცხადა სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე ლიბერალურ- დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ, რომელმაც კიდევ ერთხელ ისაუბრა უკრაინაზე, აზერბაიჯანსა და იმ რამდენიმე ქვეყანაზე, რომლებიც ყოფილ საბჭოთა კავშირში შედიოდნენ.

ჟირინოვსკიმ აღნიშნა, რომ საერთოდ არ არსებობს აზერბაიჯანელი, როგორც ეროვნება. მისი თქმით, სიტყვა „აზერბაიჯანელი“ რუსულ ენაზე ნიშნავს „კასპიელს“.„როგორ ითარგმნება აზერბაიჯანი რუსულ ენაზე? „აზერ“ — ხაზარ დენიზ, რომელიცაა კასპიის ზღვა, „ბადჟა“ — მხარე. აქედან გამოდის, რომ „აზერბაიჯანელი“ – ნიშნავს იმ ხალხს, რომლებიც ცხოვრობენ კასპიის ზღვის ნაპირზე. რუსულად — კასპიელები. ეს რა, ეროვნებაა?“ — განაცხადა ჟირინოვსკიმ.

„აფხაზეთის ხმა“

ყირიმიდან უკრაინელი მესაზღვრეების ოჯახების გასახლება დაიწყო

უკრაინის სასაზღვრო სამსახური იუწყება, რომ გასული კვირის განმავლობაში რუსმა ოკუპანტებმა უწყების ბინებიდან 11 უკრაინელი მესაზღვრე გამოასახლეს.

რუსი სამხედროები არამხოლოდ მესაზღვრეებს, არამედ მათი ოჯახის წევრებსაც ემუქრებიან.

სასაზღვრო სამსახურის ინფორმაციით, ჩერნომორსკოეს, ევპატორიასა და სევასტოპოლის სასაზღვრო ნაწილებში მომსახურე ჯარისკაცებს, რომლებმაც უარი განაცხადეს ე.წ. ახალი მთავრობის წინაშე დაედოთ ფიცი, ულტიმატუმი წაუყენეს, რომლის მიხედვითაც მათ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ბინებიდან გაასახლებენ.

იგივე მდგომარეობაა შელკინოს სასაზღვრო ნაწილში. სულ ოკუპანტებმა უკრაინელი მესაზღვრეების 11 ოჯახი უკვე გაასახლეს. გასახლებულთა შორის 9 ბავშვია.

„ჯი-ეიჩ-ენი“

პოპკორნი სიმსივნისგან გვიცავს

მედიკოსებმა პოპკორნის ახალი თვისებების შესახებ განაცხადეს, რომ ბატიბუტის წყალობით, ორგანიზმის დამცავი რესურსი ძლიერდება და სიმსივნური დაავადებების წინააღმდეგ მოქმედებს. ჩაატარეს ექსპერიმენტი იმის გასარკვევად, სად უფრო მეტი იყო ადამიანისთვის სასარგებლო პოლიფენოლური ნაერთი — პოპკორნში, მზესუმზირასა თუ ფაფაში. შედეგად აღმოჩნდა, რომ მაქსიმალურ რაოდენობას სწორედ პოპკორნი შეიცავდა. პოლოფენოლები მცენარეული წარმოშობის პიგმენტებია, რომელთა გავლენით უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა, ახასიათებს ანტიბაქტერიული აქტვობა, ანტიმუტაგენური და ანტიოქსდანტური თვისებები... ამ ყველაფრის წყალობით კი ორგანიზმი დაცულია ავთვისებიანი სიმსივნის წარმოქმნისგან, თუმცა ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ პოლიფენოლებს შეიცავს ხილი და ბოსტნეულიც და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, სჯობს, ისინი მეტი რაოდენობით მივირთვათ, ვიდრე პოპკორნი.



საქანელა ექსტრემალებისთვის

ადრენალინისა და ექსტრემალური გართობის მოყვარულები, მძაფრი შეგრძნებების მისაღებად ეკვადორში, ქალაქ ბანოსში ჩადიან, რათა იქ მსოფლიოში ყველაზე საშიშ საქანელაზე იქანაონ. ადგილობრივები ამ გასართობს „მსოფლიოს დასასრულს“ ეძახიან. ერთ დიდ ხეზე აშენებულია პატარა სახლი. ამ ხის ტოტზე, რომელიც მთის კიდეს გადაჰყურებს, ჩვეულებრივი საქანელა ჰკიდია და ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს ირგვლივ სრული სიცარიელეა. თუ გეშინიათ და ექსტრემალი არ ხართ, ამ ადგილას მისვლას არ გირჩევთ, — აცხადებენ ადგილობრივი მცხოვრებლები. აღსანიშნავია, რომ საქანელაზე დაჯდომის მსურველების უსაფრთხოებას ვერაფერი იცავს, რადგან მსგავსი აღჭურვილობა არ გააჩნია. ამ საშიშ გასართობთან განსაკუთრებით გრძელი რიგი მაშინ დგება, როცა წვიმს ან ხეობაში ნისლია. ამ დროს, ექსტრემალთა განცხადებით, სიმაღლიდან მართლაც იშვიათი სანახაობა იშლება.

პირველი დასაკეცი უნიტაზი შექმნეს

ბრიტანელმა გამომგონებლებმა გადაწყვიტეს, ძველმოდური უნიტაზი წარსულს ჩააბარონ. Iota — მსოფლიოში პირველი დასაკეცი უნიტაზია, მისი საიდუმლო კი ისაა, რომ, როცა საჭირო არ არის, ზღვის მოლუსკის ნიჟარასავით იხურება და კედელში იმალება. ამ დროს უნიტაზის ჰერმეტიზაცია ხდება, რაც უსიამოვნო სუნის გავრცელებასაც აღკვეთს. Iota მხოლოდ მაშინ ჩაირეცხება, როცა დაკეცილია, ამ მდგომარეობაში კი მისი მილი U-ს მაგვარ ფორმას იღებს და მხოლოდ 2,5 ლიტრს წყალს იყენებს მაშინ, როცა ჩვეულებრივი ტუალეტი, დაახლოებით, 6 ლიტრამდე წყალს ხარჯავს. დახურულ მდგომარეობაში, უნიტაზის შიგნით, ჩარეცხვის შემდეგ ამოქმედდება ჰაერის ავტომატური გასუფთავებისა და ქაფით დეზინფექციის ფუნქციაც.

ყველაზე მდიდარი მსახიობები გამოავლინეს

მსახიობების ჯიბეში ფულის თვლა ტაბლოიდებისთვის სასიამოვნო საქმეა. ერთ-ერთმა მათგანმა ცნობილი ქალი-მსახიობების სია შეადგინა, რომელთა ქონებაც ასობით მილიონ დოლარადაა შეფასებული. რეიტინგის ლიდერი პოპულარული „ლამაზმანი“ ჯულია რობერტსია. გარდა თაყვანისმცემლების სიყვარულისა, ამ მომხიბლავმა ვარსკვლავმა, კარიერის მანძილზე, არც ისე მცირე ქონება — 140 მილიონი დოლარი დააგროვა და სანუკვარი „ოსკარიც“ მოიპოვა 2000 წელს ფილმში „ერინ ბროკოვიჩი“ შესრულებული მთავარი როლისთვის. სიის მეორე საფეხურზე დრიუ ბერიმორია, რომლის საბანკო წიგნაკშიც 125 მილიონი დოლარია აღნიშნული. მხოლოდ მესამე ადგილზე აღმოჩნდა ანჯელინა ჯოლი, რომელმაც 120 მილიონის გამომუშავება შეძლო. მდიდარი მსახიობი ქალბატონების ტოპ-ათეულში შევიდნენ ასევე ჯენიფერ ენისტონი — 110 მილიონი დოლარი, სანდრა ბალოკი — 85 მილიონი, რიზ უიზერსპუნი — 80 მილიონი, სარა ჯესიკა-პარკერი — 75 მილიონი, კემერონ დიასი — 75 მილიონი, მერილ სტრიპი — 46 მილიონი, ჯენიფერ ლოურენსი — 26 მილიონი დოლარი.

უმანქანო კლიენტებს ბროდელში ფასდაკლებას სთავაზობენ

ბერლინში მდებარე ერთ-ერთი ბორდელის Maison D'envie საიტზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია, კლიენტებისთვის ფასდაკლების სისტემის ამოქმედებაზე. ისინი, ვინც გასართობად უმანქანოდ მივლენ, საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან ველოსიპედით ისარგებლებენ, მეძავები ფასდაკლებით მოემსახურებიან. მაგალითად, ვინც გზაში ეკონომიას გააკეთებს და ბორდელში ავტობუსით ან ველოსიპედით მივა, მას ჩვეულებრივ ღირებულებაზე 5 ევროს დაუკლებენ. როგორც ბორდელის მფლობელი აცხადებს, ეს შეთავაზება ეკონომიურიცაა და ეკოლოგიურიც. მისი თქმით, ფინანსური კრიზისის დროს მარკეტინგული ნაბიჯის წარმატებული აღმოჩნდა. მუდმივი კლიენტები ახლა უფრო ხშირად მიდიან და მანქანას სახლში ტოვებენ. გაიზარდა ახალი კლიენტების რაოდენობაც. აღსანიშნავია, რომ გერმანია მსოფლიოში ერთ-ერთია იმ ქვეყნებს შორის, სადაც პროსტიტუცია კანონით არ არის აკრძალული.

პოკერში საკუთარი სახელი წააგო

ახალი ზელანდიის მცხოვრებმა, რომელიც მთვრალი იყო, კარტის თამაშისას საკუთარი სახელი წააგო, ხოლო ახალი სახელი ძლივს ეტევა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში — ულლ ვეტალ ავოკ კორე შეხყ § Iნტელლიგენტ თჰან შპოცკ ნდ ლლ თჰე შუპერჰეროეს ჩომბინედ ჭიტჰ როსტნოვ ჰქვია და როგორც მისი მეგობარი აცხადებს, პოკერის მოყვარულს ის მოგებულმა შეურჩია. ეს ამბავი ხუთიოდე წლის წინ მოხდა, მაგრამ „დაზარალებულმა“ ჯერ ვერ მოახერხა ნამდვილი სახელის დაბრუნება. შესაბამისმა ორგანოებმა მისი განცხადება მიიღეს და უახლოეს მომავალში განიხილავენ. სახელის დაბრუნების შემდეგ ზელანდიელს კვლავ მოუწევს უამრავი დოკუმენტის ახალ სახელზე გადაფორმება. ზელანდიაში მოქმედებს კანონი, რომელიც კრძალავს ისეთი სახელს, რომელიც პიროვნებას შეურაცხყოფს ან ციფრებისა და სიმბოლოებისგან შედგება. აქ რეგისტრაციაში ასევე არ ატარებენ ისეთ სახელებს, როგორიცაა, მაგალითად, უდიდებულესობა, მეფე, რაინდი, პრინცესა, იუსტიცია, უშიშარი მაფია, ლუციფერი, წერტილი, ვარსკვლავი...

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №1ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ხორცი ვეგეტარიანელებისთვის

ავსტრალიელმა სწავლულებმა შეძლეს მცენარეული მასალისგან უნიკალური პროდუქტის შექმნა, რომელსაც ხორცის გემო აქვს. როგორც მედია იუწყება, ხორცის ეს მცენარეული ანალოგი მეცნიერებმა და პროდუქტის კომპანიებმა კვლევითი პროექტის ფარგლებში შექმნეს, რომელსაც Like Meat უწოდეს. ამჟამად ვეგეტარიანული ხორცის წარმოება მხოლოდ ლაბორატორიულ პირობებში ხდება (საათში 70 კილოგრამ პროდუქტს აწარმოებენ). გარეგნულადაც და გემოთიც ვეგეტარიანული ჩვეულებრივ ხორცს ჰგავს, მაგრამ საერთოდ არ შეიცავს ცხოველურ ცილას. გარდა ამისა, მცენარეული ხორცი უფრო დიდხანს ინახება, ეკოლოგიურადაც სუფთაა, უსაფრთხოა და მალე ალბათ მის მასშტაბურ წარმოებას დაიწყებენ. კიდევ ერთი ღირსება ხორცის დაბალი ფასია.

სუდოკუ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	8	5		7				
2				5	3			
9		6						
1			7			3	5	
		9	6		5	2		
	5	4			1			9
						7		2
			2	6				3
				8		6	9	

სუდოკუ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

2					8			
		5	9	4			1	
			2	1				8
7		6		3			5	9
		4				2		
9	2			7		3		6
4				8	6			
	6			5	4	9		
			3					4

სუდოკუ ᲠᲗᲣᲚᲘ

	8					2		
		9	2	4				
	2			7	9		6	
2			1	9				3
	1						7	
7				8	2			5
	7		9	5			2	
				3	4	5		
		8					9	

სუდოკუ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

						3		8
				8				
8		2	9				4	
	4			2		5		
2			7		8			3
		5		3			1	
	3				4	1		2
				1				
7		6						

სიმსივნის საწინააღმდეგო ვაქცინის გამოცდა დაიწყო



დიდ ბრიტანეთში დაიწყო ვაქცინის კლინიკური გამოცდა, რომელიც კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოს ებრძვის, პრეპარატის შექმნაზე კი კლატერბრიჯის კიბოს ცენტრის სპეციალისტები მუშაობდნენ. ჩვეულებრივ, სიმსივნეს ამოკვეთით მკურნალობენ, მაგრამ ამ პროცედურას წარმატებით მხოლოდ პაციენტთა 20% თუ გადის. ვაქცინა კი ოპერაციის დასრულებისთანავე უნდა გაკეთდეს, მისი ძირითადი ამოცანაა, არ დაუშვას სენის გავრცელება ორგანიზმში რემისიის დროსაც. ახალი ვაქცინა იმუნიტეტს აიძულებს, ამოიცნოს კიბოს უჯრედები და ამგვარად, ორგანიზმმა თავად გაანადგუროს ისინი მანამ, სანამ ახალი სიმსივნური წარმონაქმნები გაჩნდება. ცნობილია, რომ პირველი მოხალისე 64 წლის ალან ჰელიე იყო, რომელსაც კიბო 2013 წლის ოქტომბერში აღმოუჩინეს. დეკემბრის ბოლოს მას ოპერაცია გაუკეთეს, ვაქცინა კი ორი კვირის წინ შეუყვანეს. ვაქცინას სუსტი გვერდითი მოვლენები ახლავს (ღებინებისა და დაღლილობის შეგრძნება). აღსანიშნავია, რომ იმუნოთერაპიამ, რომელსაც მიეკუთვნება ახალი ვაქცინა, გაამართლა.

სამკურნალო პომიდორი გამოიყვანეს

მეცნიერებმა ნისლიანი ალბიონიდან იისფერი პომიდვრის ჯიში გამოიყვანეს, რომელიც გენმოდიფიცირებულია და სპეციალურად სიმსივნისა თუ გულსისხლძარღვთა დაავადების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის შექმნეს. სწავლულები ამტკიცებენ, რომ ახალი ჯიში დიდი რაოდენობით ანტოციანებს შეიცავს, რომელსაც ანთების საწინააღმდეგო ეფექტი აქვს და სიმსივნური უჯრედების წარმოქმნას ეწინააღმდეგება. ბუნებაში ეს ნივთიერება გვხვდება მოცვში, მაყვალსა და სხვა კენკროვნებში, რომელთაც მუქი შეფერილობა აქვთ. ბრიტანელი მკვლევარები აპირებენ, სამკურნალო პომიდორი და მისი წვენი დაავადებების პროფილაქტიკისთვის გაყიდონ, თუმცა ჯერ პროდუქტი ტესტირებას ნისლიან ალბიონზე გაივლის.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4	2	7	8	6	5	3	1	9
1	3	9	2	7	4	6	8	5
8	6	5	3	1	9	7	4	2
7	8	6	1	9	3	5	2	4
9	5	4	7	2	8	1	6	3
2	1	3	4	5	6	9	7	8
6	4	8	5	3	7	2	9	1
5	9	2	6	4	1	8	3	7
3	7	1	9	8	2	4	5	6

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

6	9	8	2	7	5	4	3	1
4	7	3	6	1	8	5	2	9
2	1	5	9	4	3	7	6	8
3	4	2	5	9	7	8	1	6
8	6	1	3	2	4	9	7	5
7	5	9	1	8	6	3	4	2
5	3	4	8	6	2	1	9	7
1	2	7	4	5	9	6	8	3
9	8	6	7	3	1	2	5	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	3	8	5	7	4	2	1	9
4	2	5	1	9	8	3	7	6
1	7	9	6	3	2	8	5	4
7	1	3	4	6	5	9	8	2
2	8	6	9	1	3	5	4	7
9	5	4	2	8	7	1	6	3
3	6	7	8	5	9	4	2	1
8	9	2	7	4	1	6	3	5
5	4	1	3	2	6	7	9	8

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	9	5	2	4	3	1	7	6
6	7	4	1	9	5	2	8	3
3	2	1	6	8	7	5	9	4
5	6	3	9	2	8	4	1	7
2	4	7	5	1	6	8	3	9
1	8	9	7	3	4	6	5	2
7	3	6	4	5	1	9	2	8
4	1	2	8	7	9	3	6	5
9	5	8	3	6	2	7	4	1

მე-9 გვერდი: 1. ილუმინატორი; 2. სომბრერო; 3. კამბალა; 4. ინანთი; 5. ურბანიზაცია; 6. ისლი; 7. ოსვენციმი; 8. ბილინგვა; 9. ერებუნი; 10. ათენა; 11. „ეფესი“; 12. არომატი; 13. აშდოდი; 14. ველვეტი; 15. სეანსი; 16. ნიდერლანდი; 17. შერიფი; 18. ანდამატი; 19. ნანსუკი; 20. იაილო; 21. ეზო; 22. ბინდი; 23. გენი; 24. ვაიდა; 25. სამბო; 26. კაკაო; 27. კომპასი; 28. ოსანა; 29. ნარმა; 30. ეროს; 31. ცა; 32. დიაცი; 33. კალჩო; 34. რთველი; 35. ვაი; 36. ხემი; 37. მელუა; 38. ნორგეი; 39. თილისმა; 40. ლანდი; 41. პაი; 42. ევა; 43. ბინდი; 44. უმა; 45. კო; 46. დიახ; 47. ქატო; 48. ჩიპი; 49. ჭრელა; 50. ნიკოლ; 51. მაო; 52. არწივი; 53. ზაქი; 54. ასა; 55. მატიე; 56. რა; 57. ვაიო; 58. ჭია; 59. დიოდი; 60. ზიმბაბვე; 61. ოდოია; 62. სირ.

გრიპის საწინააღმდეგო დიეტა

ცოტა ხნის წინ ამერიკის დიეტოლოგთა ასოციაციამ გამოაქვეყნა იმ პროდუქტის ჩამონათვალი, რომელიც გრიპის ეპიდემიის დროს ორგანიზმზე სასიკეთო გავლენას ახდენს. ამ ჩამონათვალში შევიდა: შავი მოცხარი, უცხიმო ღორის ხორცი, გრეიპფრუტი, კომბოსტო (ბრიუსელის), იოგურტი, კარტოფილი, მაკარონის ნაწარმი და კაკალი. „გრიპის საწინააღმდეგო“ კვებასთან დაკავშირებით დიეტოლოგების რეკომენდაციები ამგვარია:

რაციონალური კვება — გრიპის პროფილაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიზრუნოთ, ავამაღლოთ ორგანიზმის მდგრადობა ვირუსის ზემოქმედებაზე, ამისთვის კი რაც შეიძლება მეტი პროდუქტი უნდა მოვიხმაროთ, რომელიც ანტიოქსიდანტური თვისებებით გამოირჩევა, ანუ C და E ვიტამინებსა და სელენს შეიცავს. ასეთი საკვები ნატურალური, ახალი ბოსტნეული და ხილია და ისინი დღეში, საშუალოდ, 500-600 გრამი უნდა მივიღოთ. ნუ იფიქრებთ, რომ ამის გაკეთება მხოლოდ მდიდარ ადამიანებს შეუძლიათ — დამწნილებულ კომბოსტოზე, ჭარხლისა და სტაფილოს სალათებზე, ალბათ, ყველას მიუწვდება ხელი. კარგი იქნება, თუ ადამიანი დღეში საშუალო ზომის 2 ვაშლს მაინც მიირთმევს. ხორცი არ არის ანტიოქსიდანტური თვისებების შემცველი, მაგრამ ის ცილის წყაროა, რომელიც ორგანიზმის იმუნური კომპლექსების მშენებლობისთვისაა საჭირო, ამიტომ სასურველია, ადამიანმა დღეში 70გ ცილა (100გ ხორცი დაახლოებით 17-18გ ცილას შეიცავს, ამდენივეა 100გ თევზშიც) მიიღოს. სჯობს, უპირატესობა თევზს მიანიჭოთ, ასევე სხვა ზღვის პროდუქტსაც, რომლებიც ამასთან იოდს შეიცავს. აუცილებელია, ადამიანმა დღეში 2,5ლ სითხე მიიღოს და ეს შეიძლება იყოს როგორც უგაზო წყალი, ასევე ნებისმიერი ჩაი (უმჯობესია, მწვანე), წვენები, თანაც არა კონცენტრირებული, არამედ მინერალური წყლით გაზავებული. კარგი იქნება, თუ ძილის წინ ერთი საათით ადრე უცხიმო კეფირს ან არატკბილ იოგურტს მიირთმევთ, ეს ნაწლავების მიკროფლორას გაგიუმჯობესებთ. ადამიანების უმრავლესობას ის დარღვეული აქვს, რაც ორგანიზმის ვირუსებისადმი მდგრადობას ამცირებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს საკვების მიღების პერიოდსაც. დიეტოლოგების რეკომენდაციით, დღიური ტრაპეზა 4 ნაწილად უნდა გაყოთ. დაუშვებელია, დილით ცოტა წაიხემსოთ და საღამოს „დაიტვირთოთ“ მაქსიმალურად. სტრესი, ფსიქოემოციური დატვირთვა, შენობაში არსებული მიკროკლიმატი, ეკოლოგია გრიპის ვირუსისადმი მდგრადობის ბარიერს აქვეითებს, ამიტომ ეს ფაქტორებიც უნდა გავითვალისწინოთ. თუკი ადამიანს მაინც შეეყარა გრიპი, პირველი 4-5 დღის განმავლობაში გაძლიერებული კვება არ ღირს. სჯობს, ისეთი პროდუქტი მიიღოთ, რომელიც აუმჯობესებს ნაწლავების, თირკმლისა და ნაღვლის ბუშტის ფუნქციას. ასეთ დროს ბევრი სითხე (დღეში 3 ლ მაინც), ახალი ბოსტნეული და ხილია რეკომენდებული. ავადმყოფობის დროს კვება დანაწევრებული უნდა იყოს, დღეში 5-6-ჯერ, პატარა ულუფებით, არაუმეტეს 300 გრამისა. ზედმეტს ნუ შეჭამთ, რადგან საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ფერმენტული აქტიურობა ქვეითდება და საკვები ცუდად გადამუშავდება. ნაწლავების მოქმედების რეგულაციისთვის გრიპის საწინააღმდეგო დიეტაში ჩართეთ პური საკვები ბოჭკოებით ან ქატოთი. რეკომენდებულია კომბოსტოს, ყაბაყის, სტაფილოს, გოგრის, კარტოფილისგან დამზადებული კერძები. ვიტამინები C და P ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს. ამიტომ სასარგებლო იქნება იმ პროდუქტის მიღება, რომელიც მდიდარია ორივე ვიტამინით — ასკილი, შავი მოცხარი, შავნაყოფა ცირცელი, ლიმონი. ვიტამინი ა და კაროტინი ხელს უწყობს სასუნთქი გზების ეპითელის რეგენერაციას, ამიტომ მაღალი ტემპერატურისას სასურველია მისი შემცველი პროდუქტის (სტაფილო, ფორთოხალი, ოხრახუში, კურაგა, ქაცვი) მიღება, შემდეგ კი მათ დაუმატეთ ცხოველური წარმოშობის საკვებიც — საქონლის ღვიძლი, ნაღების კარაქი, ყველი, კვერცხი, ცხიმიანი არაჟანი და ხაჭო. გრიპის ვირუსით დაავადებისას რაციონიდან გამორიცხეთ მარინადი, შემწვარი, ცხიმიანი, მწარე, მარილიანი კერძები.

მარტივი ტესტი მკერდის კიბოს დასადგენად

სწავლულებმა სუნთქვითი აპარატი გამოიგონეს, რომელსაც მკერდის კიბოს არსებობას 10 წუთში ადგენს — ეს არსებული მამოგრაფიის ალტერნატივაა და ხელსაწყოს The BreathLink უწოდეს, რომელიც ამერიკულ კომპანიაში შექმნეს და უკვე გაყიდვაშია. აპარატის გამოყენება ძალიან მარტივია — პაციენტი ჩაისუნთქავს, ხელსაწყო ჰაერით ივსება და ქიმიკალების დონეს აანალიზებს. თუ ქიმიკალი მკერდის კიბოს არსებობას აჩვენებს, კომპიუტერი ექიმს შედეგს აცნობებს. როგორც ხელსაწყოს ავტორები ამბობენ, მათი ქმნილება ისეთივე სიზუსტით მუშაობს, როგორც მამოგრაფიის მოწყობილობა. მკვლევართა განცხადებით, ვიდრე ეს პრაქტიკა დაინერგება ან ვიდრე მკერდის კიბოს სკრინინგისთვის ერთადერთ ალტერნატივად გამოცხადდება, საჭიროა ბევრი გამოკვლევა. მედიკოსების განცხადებით, ამ ეტაპზე დაავადების აღმოჩენის სიზუსტე დაბალია.

1. აზიის კუნძულოვანი ქვეყანა
2. „კუდიანი“ ვარსკვლავი
3. შეზღუდული გონების და ფარისევლური ქცევის ადამიანი
4. შხამიანი სარეველა ბალახი
5. გამის პირველი ძირითადი ბგერა
6. ძვ. სლავური ენის ერთ-ერთი ანბანი
7. მოლუსკების შემსწავლელი მეცნიერება
8. იგივეა, რაც სვირინგი

9. კვანტური თეორიის დამფუძნებელი
10. მკერდზე დასადგ. ტახტრევანი დიდებულთა სატარებლად
11. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი
12. გულიანი ხვეული ნამცხვარი
13. სუსტი ქუსლის მქონე გმირი ბერძნულ მითოლოგიაში
14. ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე
15. სოკოს გამრავლების ორგანო
16. აზერბაიჯანის დედაქალაქი
17. ერბოკვერცხის შესაწვავი ჭურჭელი
18. შოლოხოვის „წყნარი“ მდინარე
19. ერთ-ერთი სახარების ავტორი
20. ძველი საბერძნეთი
21. რაგბის ქართული წინამორბედი
22. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი
23. ჩინეთის პროვინცია
24. ბალახის სათიბი იარაღი
25. კედლის ჭაღი
26. დათვის მეგობარი გოგონა რუსულ მულტსერიალში
27. მომღერალი და მუსიკოსი ბერძნულ მითოლოგიაში
28. „მე“ - ლათინურად
29. ისტორიის მუზა
30. ტროპიკული ხილი
31. საყველდ რძის შესადედებელი მასალა
32. ხელის საგრილობელი
33. ხმელეთზე თვითმფრინავის სამოძრაო ნაწილი
34. „აწიე“! პორტის მუშათა სლენგზე
35. მაჰმადიანთა სასულიერო სასწავლებელი
36. სახელმწიფო ბურკინა-...
37. ღმერთების საცხოვრებელი მთა ბერძ. მითოლოგიაში
38. ოთახის დეკორატიული მცენარე
39. ზრდადასრულებელი ქათამი
40. მიწისქვეშა სამეფოს მთავარი მდინარე ბერძ. მით.
41. სასროლი ქვა კოჭაობის თამაშში
42. საბერძნეთის ადმინისტრ. ტერიტორიული ერთეული
43. პირი, რომელიც ფრონტზე მოკლ. ძარცვავს
44. უკრაინული წარმოების შოკოლადი
45. „ჰარი პოტერის“ ავტორი ... როულინგი
46. ცეცხლის მნათი ნაწილი
47. ნორვეგიის დედაქალაქი
48. სატანვარჯიშო იარაღი
49. კუნძული პარიზში, მდინარე სენაში
50. დებულება, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს
51. ვირუსით გამოწვეული მწვავე ინფექციური დაავადება
52. ტარიელის სამშობლო „ვეფხისტყაოსანში“
53. ამერიკელი ფსიქოლოგი ... კარნეგი
54. ამერიკელი მწერალი ედგარ ალან ...
55. მედლის ან მონეტის უკანა მხარე
56. მაგარი ქანი
57. ბოლივიის ოფიციალური დედაქალაქი
58. რემბრანდტის ერთ-ერთი შედევრი
59. ცნობილი იტალიელი საფეხბურთო მსაჯი
60. ფართოდ ხმარებული სამკურნალო პრეპარატი
61. ილიას გამზრდელი მამიდის სახელი
62. იტალიის საფეხბურთო კლუბი
63. რკინიგზის პატარა ვაგონი
64. ვიეტნამის ფულის ერთეული
65. ქალაქი სირიაში
66. მუჰამედ ალის ნამდვილი გვარი
67. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
68. რინგო სტარის ნამდვილი გვარი
69. ფუტ. მიერ გაკეთ. ცვილის უჯრედები თაფლისთვის
70. ხის ან რკინის კეტი ცეცხლის საჩხრეკად
71. იტალიის ეროვნული გმირი ... მოსულიშვილი
72. ფრანგი კომიკოსი ... რიშარი
73. ტრადიციული ჩინური ტაფა
74. სენეგალური წარმოშობის ამერიკელი რეპერი
75. ალეგორიული მოთხრობა
76. ბულგარეთის ვალუტა
77. იტალ. ნობელიანტი დრამატურგი დარიო ...
78. სოკოს ქსელი საკვებ პროდუქტზე
79. იაპონელი დიზაინერი
80. საგანთა რაოდენობა დუჟინში
81. ებრაელთა წინამძღოლი
82. სამი წერტილი კამათელზე
83. ქართული ხალხური ზღაპარი
84. ადამიანი, რომელსაც სმენა არ აქვს
85. მუსიკალური ინტერვალი პირველსა და მესამე საფეხურს შორის
86. ზრდილობიანი მიმართვის ფორმა იაპონიაში

საკუთარ თავთან საუბარი სასარგებლოა

დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ საკუთარ თავთან ლაპარაკი ან შიზოფრენიის, ან გარკვეული ფსიქიკური გადახრის ნიშანი იყო, თუმცა, ამერიკელი მეცნიერები ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტიდან აცხადებენ, რომ ეს მოსაზრება მცდარია. სწავლულებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის შედეგად დაამტკიცეს, რომ ეს არა მარტო უსაფრთხო, არამედ ტვინისთვის სასარგებლოც კია — მოხალისეები ორ ჯგუფად დაყვეს, რომლებიც შენობაში დამალულ ნივთებს ეძებდნენ. ერთი ჯგუფის წარმომადგენლები საკუთარ ქმედებებს აკომენტარებდნენ, მეორე ჯგუფი კი ჩუმად მოქმედებდა, „მოლაპარაკე“ მოხალისეებმა დაკისრებულ ამოცანას თავი სწრაფად გაართვეს. სწავლულების ვარაუდით, ასეთი შედეგი იმ ფაქტს უკავშირდება, რომ ლაპარაკი აჩქარებს აზროვნებას და ამგვარად, ხელს უწყობს ოპტიმალური გადაწყვეტილების სწრაფად მიღებას.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი — გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.